

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბექა ბელქანია

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის
მონაკვეთის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დალი ნიკოლაიშვილი

თბილისი 2014

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. კვლევის მეთოდოლოგია და შესწავლის ისტორია	9
1.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესწავლის ისტორია	9
1.2. სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია	13
1.3. საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ: კომენტარები	16
1.4. კვლევის მეთოდები და საწყისი მონაცემები	18
თავი II. აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის გეოგრაფიული მიმოხილვა	19
2.1. ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა	19
2.2. საზღვრის კარტომეტრიული მიმოხილვა	27
2.3. საზღვრისპირა განსახლება	29
2.4. საზღვრისპირა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	33
თავი III. კვლევის ძირითადი შედეგები	35
3.1. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების გამაპირობებელი ფაქტორები	35
3.2. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციები	41
3.3. საზღვრის "ცხელი მონაკვეთები".	45
3.4. საზღვრის პერიმეტრის სენსიტიურობის შეფასება	51
დასკვნა	60
გამოყენებული ლიტერატურა	62
დანართი	67

ისტორიულად ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, მთავარ საზღვრებს სახელმწიფო საზღვრების ურყეობა და მდგრადობა წარმოადგენდა. საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც ქართულ სახელმწიფო აღმოცენდა და შემდგომში განმტკიცდა, ერთ-ერთ ურთულესი ამოცანა ქვეყნის საზღვრების დაცვა და მისი განმტკიცება იყო. დღესაც მით უმეტეს საჭირო და აუცილებელია სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების ძირეული შესწავლა, რამაც შესაძლოა დადებითი ზეგავლენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში და მეზობელ ქვეყნებთან სასაზღვრო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისას.

კვლევის მიზანია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი და ისტორიული ტრანსფორმაციების დადგენა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ამოცანებია: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის დეტალური გეოგრაფიული და კარტომეტრიული აღწერა, საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ძირითადი გამაპირობებელი ფაქტორების დადგენა, საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ინტენსივობის დადგენა, საზღვრის პერმეტრის სენსიტიურობის შეფასება.

კვლევის შედეგად დადგინდა: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციების განსხვავებული სიხშირე და მისი გამომწვევი ძირითადი ფაქტორები, გამოვლინდა საზღვრის ამ პერიმეტრის ყველაზე "ცხელი მნაკვეთები" და გაანალიზდა მათი გამაპირობებელი ფაქტორები, დადგინდა ძველ კარტოგრაფიულ წყაროებსა და სამთავრობო დადგენილებებს შორის შეუსაბამობა, რაც უკავშირდება საზღვრის ზოგიერთი პერიმეტრის არასწორ ინტერპრეტაციას.

B. Belkania

Geographical-cartometric analysis of Georgia national borders on Abkhazeti-racha section

Historically stability of national borders was the main concern for all countries and among them is Georgia. These problems have not lost actuality nowadays. Protection of national borders was one of the difficult missions in the geopolitical space, where Georgian state was developed. To research the items about determination of the national borders is very necessary today. This may give us positive influence on maintaining of territorial integrity and help in resolving of border disputes peacefully. The goal of this survey is geographical and cartographic analysis of the national border of Georgia on the section among Abkhazia and Racha regions and also determination of historical transformation of these borders. Due to the goal the main objectives are: Geographic and cartographic description of the national borders of Georgia on the section among Abkhazia and Racha regions, determination of the main reasons the intensity of these borders' historical transformation, evaluation of the sensitivity of border's perimeter. The survey revealed: different frequency and the main reasons of historical transformation of national border of Georgia on the section among Abkhazia and Racha regions, "hot sections" of this perimeter of the border and the main reasons caused them. The survey also revealed inconsistency between the old cartographic sources and government decrees, which is connected to the invalid interpretation of some perimeters of the border.

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონში, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე, სახელმწიფო საზღვარი განმარტებულია როგორც - ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს - გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან [საქართველოს კანონი..., 1998].

ისტორიულად ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, მთავარ საზრუნავს სახელმწიფო საზღვრების ურყევობა და მდგრადობა წარმოადგენდა. იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც ქართულ სახელმწიფო აღმოცენდა და შემდგომში განმტკიცდა, ერთ-ერთ ურთულესი ამოცანა ქვეყნის საზღვრების დაცვა და მისი განმტკიცება იყო. დღესაც მით უმეტეს საჭირო და აუცილებელია სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების ძირეული შესწავლა, რამაც შესაძლოა დადებითი ზეგავლენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში, მეზობელ ქვეყნებთან სასაზღვრო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისას და ა.შ.

სახელმწიფოთა შორის საზღვრები წესრიგდება უმაღლეს დონეზე, სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით. სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული საარქივო, ლიტერატურული, კარტოგრაფიული, თუ სხვა სახის მასალების მომზადებაზე კი უშუალოდ გეოგრაფები, კარტოგრაფები, ისტორიკოსები და სხვა დარგის სპეციალისტები.

საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურია დედამიწის მრავალ წერტილში. მათ შორის აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცე, შესაბამისად საქართველოც. ეს პრობლემა გამოიწვია იმან, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრის ადგილზე მონივნა-მარკირებას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. ასევე საზღვრების დაყოფა

ძირითადად სამეურნეო, და არა პოლიტიკური პრინციპით წარმოებდა. იმ დროს ამას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, თუმცა თანამედროვე რეალობაში ჩვენს ქვეყანას ამ ფაქტმა ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა. ჩვენი საზღვრების მონიშვნა-მარკირებას ისიც უშლის ხელს, რომ სხვადასხვა წელს გამოცემულ მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკებზე საზღვრის კონტურები მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განსხვავებულად არის მოცემული. ზოგიერთ რუკაზე საზღვრის მონაკვეთი ქედის თხემზეა, ზოგზე კი ქედის მიღმა მდინარის გასწვრივ არის გავლებული.

საერთაშორისო შეთანხმებით საბჭოთა პერიოდში საზღვრები ზუსტად იყო დადგენილი მხოლოდ მოსაზღვრე ქვეყნებთან. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ თურქეთთან (ყოფილი სსრკ-ს მეზობელი ქვეყანა) მოსაზღვრე მონაკვეთია დელიმიტირებული და დემარკირებული.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრების გასწვრივ მაღალი, კლდოვანი და მარადი თოვლითა და მყინვარებით დაფარული მთებია გადაჭიმული. მაღალი ქედების, კლდოვანი მასივებისა და მყინვარების გამო ჩრდილოეთი საზღვარი მნელად გადასალახავია, რაც ზღუდავდა კიდევაც მეზობელთა დამპყრობლურ მიზნებს. თუმცა კავკასიონის მთიანეთის ყველა უბანი როდია მნელი გადასალახი. აქაც მრავლადაა ე.წ. კონტაქტური საზღვრები, რომლის გადაკვეთაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთი მონაკვეთი ჩამოყალიბდა მეზობელ ხალხებთან ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე და იგი უმთავრესად ბუნებრივ ზღუდეებზე გადიოდა. ისტორიულად ყველაზე ნაკლები ცვლილება ქვეყნის საზღვარმა სწორედ აქ, კავკასიონის ცენტრალურ მაღალმთიან მონაკვეთზე განიცადა, სადაც მარადი თოვლისა და მყინვარების, კლდოვანი მასივების თითქმის უწყვეტი ზოლია გადაჭიმული. ისტორიულად ეს ბუნებრივი ზღუდე უდიდეს როლს ასრულებდა ჩრდილოეთიდან მომავალი დამპყრობლების თავდასაცავად. თუმცა ამ საზღვრის პერიმეტრზეც ხდებოდა ცვლილებები, რის გამოც დღემდე შემორჩა საზღვრის სადავო მონაკვეთები. სწორედ ამ გარემოებას უკავშირდება უპირველესად საკითხის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგება საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრეროგატივა და ამასთან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გან-

ვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების, მათ შორის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული საკითხების, ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზი, მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლების შემუშავება. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებაში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ (# 59) აღნიშნულია, რომ საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის მუშაობის შედეგად რუსეთთან შეთანხმებულია საზღვრო მონაკვეთის 40 %. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია მოუგვარებელი და სადავო მონაკვეთების წილი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის საერთო პერიმეტრიდან. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი, ისეთ უბნებზე, როგორიცაა ს. აიბგისა და მამისონის უღელტეხილი.

კვლევის მიზანია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი და ისტორიული ტრანსფორმაციების დადგენა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ამოცანებია:

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის დეტალური გეოგრაფიული და კარტომეტრიული აღწერა;
- საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ძირითადი გამაპირობებელი ფაქტორების დადგენა;
- საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ინტენსივობის დადგენა;
- საზღვრის პერმეტრის სენსიტიურობის შეფასება.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას, ლიტერატურის სიასა და დანართს. მასში ჩართულია 8 რუკა, 5 დიაგრამა და 1 ცხრილი.

ნაშრომის პირველ თავში "კვლევის მეთოდოლოგია და შესწავლის ისტორია" განხილულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესწავლის ისტორია და განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთს. მოცემული აგრეთვე სახელმწიფო საზღვრთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია, კვლევის მეთოდები და მონაცემები, რომელთაც დაეფუძნა წარმოდგენილი ნაშრომი. მეორე თავში მოცემულია აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის სახელმწიფო სასაზღვრო

ზოლის გეოგრაფიული მიმოხილვა (ფიზიკურ–გეოგრაფიული, დასახლებული პუნქტები, მოსახლეობა) და კარტომეტრიული მაჩვენებლები. ნაშრომის მესამე თავში ეძღვნება კველვის ძირითად შედეგებს. გაანალიზებულია ის ძირითადი ფაქტორები, რამაც განაპირობა საზღვრის ამ მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციები, გამოვნილია განსაკუთრებით სენსიტიური უბნები.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია და შესწავლის ისტორია

1.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესწავლის ისტორია

ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე ეკუთვნის *ივანე ჯავახიშვილს*, რომელმაც 1919 წელს ჯერ ბათუმში, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლიში (ამჟამად სტამბულში) შექმნა ნაშრომი "საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" [მაცაბერიძე, 2014. გვ. 5]. ამ ნაშრომში მას განხილული აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიმეტრი, აფასებს საზღვრების გადალახვის სირთულეებს და ხსნის მის გამომწვევ ფიზიკურ–გეოგრაფიულ ფაქტორებს.

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს ნაშრომის შესავალ ნაწილში, გამოკვლევა 3 ძირითადი მიმართულებით აქვთ ჩატარებული [ჯავახიშვილი, 1919]:

1. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების: წარსულში: "თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარშულში".


2. საზღვრის დაცვის: "თუ როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში".

3. საზღვრის გატარება ისტორიული სამართლიანობისა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის დაცვის შესაბამისად: "თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისადა მიხედვით, – თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებული ხელშეკრულებითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილ იქმნას".

ნაშრომს თან ერთვის საქართველოს რუკა (ნახ. 1), სადაც სწორედ ისტორიული სამართლიანობისა და საერთაშორისო ნორმების დაცვის შესაბამისად გატარებულია ქვეყნის მიჯნები.

პავლე ინგოროყვა თავის ნაშრომში "საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ ქვეყნის საზღვრებს მრავალ ასპექტში განიხილავს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო გეოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ, ეთნოლოგიურ, პოლიტიკურ საკითხებს და აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მის ბუნებრივს გეოგრაფიულსა და

ეკონომიურ ფარგლებშია მოქცეულია: საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს - ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული, სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით" [ინგოროყვა, 1918]. საქართველოს სახელმწიფო საზღვარს იგი 4 მონაკვეთად, ჰორიზონტის მხარეების მიხედვით იხილავს: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთი საზღვრებს. ქვეყნის საზღვრის კონტურის ამ აღწერებში მეტად საყურადღებო ცნობები მოიპოვება, რაც თანამედროვე პერიოდში მეცნიერებს საქართველოს ისტორიული საზღვრის დადგენაში ეხმარება.



ნახ. 1. საქართველოს რუკა, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ

საქართველოს საზღვრების შესახებ მეტად საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის **ალექსანდრე მანველიშვილს**, რომელიც პარიზში გამოიცა [მანველიშვილი, 1938]. გურმა შარაძე ამ ნაშრომის შესახებ წერდა, რომ "საქართველოში მისი გადმოხედვის შემდეგ ალექსანდრე მანველიშვილის ეს ნაშრომი თავის საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს ამავე ხასიათის ივანე ჯავახიშვილისა და პავლე ინგოროყვას ფუძემდებლურ ნაშრომთა გვერდით" [შარაძე, 1992]. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს დ. საღი-

რაშვილი: "«ეს შრომა, მიუხედავად იმისა, რომ პოლემიკურ ხასიათს ატარებს, ევროპის ყოველ უნივერსიტეტში საუკეთესო სადოქტორო დისერტაციად იქნებოდა მიჩნეული. ამ პატარა წიგნაკში ბ-ნი ალექსანდრე მანველიშვილი, დიდი ნიჭით და საგნის ცოდნით, მკითხველის წინაშე სულ მარტივად და დამაჯერებელი ფაქტებით ცხადჰყოფს საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს, რომლებიც დიდების ხანაშიც იგივე დარჩენილა, იმდენად ბუნებრივად ყოფილა მიჩნეული" [სადირაშვილი, ???].

საქართველოს საზღვრის საკითხები საკმაოდ საინტერესოდ აქვს განხილული *ვიქტორ ნოზაძეს*. ნაშრომში "საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო" [ნოზაძე, 1989] წარმოჩენილია ის გეოპოლიტიკური ფონი, რომელიც არსებობდა რეგიონში XX საუკუნის I ნახევარში. ნაშრომი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ გაშუქებულია მართალია, ნაშრომში მთავარი აქცენტი გაკეთებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვარზე, თუმცა აქ განხილულია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხები და სხვადასხვა ხედვები, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ნებისმიერი მონაკვეთის კვლევისათვის მნიშვნელოვანია. სამხრეთ საქართველოს საზღვრის საკითხები განხილულია აგრეთვე ე. აბაშიშვილის ნაშრომში [აბაშიშვილი, 1998]. აქ მოცემულია 1878-1921 წლების მიმოხილვა, როცა საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა ტაო-კლარჯეთი და კოლა-არტანის ყარსის ოლქის სახით. საქართველო-სომხეთი სასაზღვრო ტერიტორიების მიმოხილვა კი მოცემულია სხვა ნაშრომებშიც [ვაშაყმაძე, 2002]. თუმცა ეს ტერიტორიები ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის.

რომან კვერენჩილაძის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები“ ძირითადად ივანე ჯავახიშვილისა და ალ. მანველიშვილის შრომებზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს საზღვრების საკითხი. ავტორი მიუთითებს რომ საქართველო კავკასიაში ისტორიულად ყოველთვის მთავარი ფიგურა იყო კულტურულად, ეკონომიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით და ქვეყნის საზღვრების მოწესრიგებულობა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კავკასიაში სტაბილური გარემოს შენარჩუნებისათვის. [კვერენჩილაძე, 1991].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვლევასთან დაკავშირებით ეკუთვნის *ჯანსუღ კეკელიას*. მის ნაშრომებში [კეკე-

ლია, 1996; 1997] ეს საკითხი განხილულია ისტორიული ტრანსფორმაციები ფონზე, აგრეთვე იგი განხილულია კარტომეტრიულ ჭრილში.

XX საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩამოყალიბების ისტორია განხილულია *ნიკა სამხარაძის* ნაშრომში "საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწყმო" [სამხარაძე, 2012]. აქ გაანალიზებულია პერიოდი საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის წლებიდან მეორე დამოუკიდებლობის წლებამდე, საბჭოთა მმართველობის ჩათვლით. განსაკუთრებული ადგილი უკავია დელიმიტაციის საკითხებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საკითხების ნორმატიულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ასახვის საკითხები განხილულია სხვადასხვა ნაშრომში [ხვედელიძე, 1999; 2000; საქართველოს სახელმწიფო საზღვრების..., 2003].

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ქვეყნის ტერიტორიის ცვლილების, მასთან დაკავშირებით საზღვრების ცვლილების საკითხები განხილულია *ვახტანგ გურულის* ნაშრომებში [გურული, 2012; 2013]. ყველა ეს პროცესი აქ რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ფონზეა განხილული.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების კარტომეტრიულ ანალიზს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა *რევაზ თოლორდავაძე*. მის ნაშრომებში [თოლორდავა, 1998; 2000; 2001; 2005] განხილულია სახელმწიფო საზღვრების მოწესრიგების მსოფლიო გამოცდილებისა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების, ნორმების, კონვენციებისა და რეკომენდაციების საკითხები, დამუშავებულია სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრის საკლასიფიკაციო სქემა. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო და საზღვაო საზღვრების წირების დაკვალების, პერიმეტრის განსაზღვრის და ტერიტორიული წყლების ფართობის დადგენის გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ პრინციპებსა და მეთოდებს. ეს და მრავალი სხვა საკითხი საკმაოდ დეტალურადაა განხილული რ. თოლორდავას სადისერტაციო ნაშრომში [თოლორდავა, 2002].

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის და მისი ცალკეული მონაკვეთების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული და ისტორიული ტრანსფორმაციების ანალიზი განხი-

ლულია *დალი ნიკოლაიშვილისა* და სხვა ავტორთა ერთობლივ ნაშრომებში [ნიკოლაიშვილი, ახალაია, 2002, თოლორდავა, ნიკოლაიშვილი, 2012; ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013; Nikolaishvili, Toloradava, 2013]. ამ ნაშრომებში განხილულია ჩვენი საკვლევი ობიექტი - სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთიც. ცალკე ნაშრომი მიეძღვნა სოფელ აიბგის მონაკვეთს, სადაც მოცემულია საზღვრის ამ მონაკვეთის ისტორიული ცვლილებების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი XIX-XX საუკუნეების მანძილზე [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013]. რ. თოლორდავამ და დ. ნიკოლაიშვილმა 1:100,000 მასშტაბის "მორიგე" რუკის" მეშვეობით განსაზღვრეს სახელმწიფო საზღვრის სიგრძე, მიღებული შედეგების შედარებამ გაზომვების ძალიან დაბალი ცდომილება გამოვლინა [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, დემეტრაშვილი, 2009].

1.2 სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია

სახელმწიფო საზღვრების თემასთან დაკავშირებით არსებობს სპეციალური ტერმინოლოგია, რაც ვფიქრობ საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის. ტერმინი "სახელმწიფო საზღვარი" გულისხმობს როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო, საჰაერო და წიაღის სივრცის ნაწილს, რომლებიც ქვეყნის კუთვნილ ტერიტორიებში მოიაზრება.

სახელმწიფო ტერიტორია დედამიწის ნაწილია, რომელზეც ვრცელდება ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტი. მასში შედის სახმელეთო ტერიტორია, წყლის, წიაღისა და საჰაერო სივრცეები. *საჰაერო საზღვარი* სახელმწიფოს სახმელეთო საზღვრის გასწვრივ ვერტიკალურად აღმართული წარმოსახვითი სიბრტყის ფარგლებში მოქცეული სივრცეა (ატმოსფერო), რომელზეც ვრცელდება ქვეყნის სუვერენიტეტი. *საჰაერო სივრცე* საჰაერო საზღვრით შემოსაზღვრული სივრცე, ანუ სახმელეთო ტერიტორიისა და ტერიტორიული წყლების თავზე არსებული სივრცეა, რომლის ზევით კოსმოსური სივრცეა, რომელიც არცერთი სახელმწიფოს კუთვნილება არაა. იგი ტარდება ზ.დ. 100-110 კმ მანძილზე.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ზღვის ფსკერია, ფსკერისა და წიაღისეულის ჩათვლით, რომელიც უშუალოდ ეკვრის ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიულ

ზღვას. მისი სიგანე 200 საზღვაო მილს არ უნდა აღემატებოდეს. ზონის ფარგლებში ქვეყანას აქვს უფლება დაზვეროს, დაამუშავოს და დაიცავს ბუნებრივი რესურსები. **კონტინენტური შეღფი** სანაპიროსთან მიმდებარე ზღვის ფსკერის ნაწილია, რომელზეც სახელმწიფო ახორციელებს გარკვეულ სუვერენულ უფლებებს. საქართველოს კონტინენტური შეღფი ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის სანაპიროს მთელ სიგრძეზე 350 საზღვაო მილის მანძილზე ზღვის სიღრმეში.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ზუსტად აქვთ განსაზღვრული სახელმწიფო საზღვრის ხაზი მეზობელ ქვეყნებთან. საერთაშორისო პრაქტიკით ეს პროცესი მოიცავს ორ ეტაპს: საზღვრის დელიმიტაციას და დემარკაციას. **სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია** ნიშნავს, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფოთა შორის არსებული სასაზღვრო ხაზის დეტალურ აღწერას და მის დატანას მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკაზე. საზღვრის დელიმიტაციის საფუძველია საზღვრების დეტალური აღწერა და ტოპოგრაფიული რუკები, სადაც დატანილია საზღვრის კონტურები. **სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია** კი გულისხმობს უშუალოდ ადგილზე დელიმიტირებული ხაზის მონიშვნას სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით და ამ ნიშნების მდებარეობის დაფიქსირებას მსხვილმასშტაბიან რუკაზე კოორდინატების მითითებით. პრაქტიკაში არც ისე იშვიათია, როცა სახელმწიფოებს შორის ხდება საზღვრის საკითხის ხელმოწერა გადახედვა. **სახელმწიფო საზღვრის რედემარკაცია** ნიშნავს მოქმედი სახელშეკრულებო დოკუმენტის საფუძველზე სახელმწიფო საზღვრის ხაზის გადასინჯვას, მის აღნიშვნას ადგილზე სასაზღვრო ნიშნებით. იგი ითვალწინებს სასაზღვრო ნიშნების რემონტს, დაკარგულის აღდგენას, დამატებითი ნიშნების დაყენებას, ახალი ოქმების შედგენას, მათ ხელმოწერა დამტკიცებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სახმელეთო საზღვარი შეიძლება იყოს ოროგრაფიული, გეომეტრიული და ასტრონომიული. ქვეყნების უმრავლესობას აქვს ოროგრაფიული, გეომეტრიული ან მათი კომბინაციით მიღებული გამმოიჯნავი ხაზები. საქართველოს საზღვრების უდიდესი ნაწილი ოროგრაფიულია და გადის ქედების თხემებზე, მთებსა და მწვერვალებზე, მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ და ა.შ. ქვეყნის სახმელეთო საზღვარი შეიძლება გადიოდეს ოროგრაფიულ ან ჰიდროგრაფი-

ულ ობიექტებზე, ამიტომაც არსებობს საზღვრის დადგენის განსხვავებული წესი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ობიექტებისათვის.

ოროგრაფიული ობიექტების მიხედვით საზღვრის დადგენა ხდება რელიეფის თვალსაჩინო წერტილების შესაბამისად. ტრანსსასაზღვრო მდინარეებზე საზღვრის საზღვრის დადგენის წესი დამოკიდებულია იმაზე, საწარმოა იგი თუ არა. საწარმო მდინარეზე საზღვარს ატარებენ ფარვატერის შუაში ან ტალღეზე, ხოლო არასაწარმო მდინარეებზე - მდინარის, დელის შუა ხაზზე.

ოროგრაფიული საზღვარი გადის ბუნებრივ – რელიეფში მკაფიოდ გამოკვეთილი ოროგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ქედის, სერის, მდინარეთა კალაპოტების (და სხვა ერთეულების) გასწვრივ. **გეომეტრიული საზღვარი** ნებისმიერი მიმართულებით სწორხაზოვნად აერთებს დედამიწის ზედაპირის ერთ წერტილს მეორესთან. ასეთ საზღვრებს ხშირად ვხვდებით მეჩხერად დასახლებულ, აუთვისებელ ადგილებში. მაგალითად, აფრიკის კონტინენტზე ფართოდ გადაჭიმული უდაბნოების გამო საზღვრები ხშირად მექანიკურად გავლებულ სწორ ხაზებს მიუყვება და არა ოროგრაფიულ ერთეულებს. გეომეტრიული საზღვარი საქართველოსაც აქვს, მაგრამ მცირე მონაკვეთებზე. ასეთი საზღვრები უმეტესად ივრის ზეგანზე გვხვდება და სახმელეთო საზღვრის მხოლოდ 1.5 %-ს შეადგენს. **ასტრონომიული ანუ გეოგრაფიული** საზღვარი გადის გარკვეულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე, გრძედისა და განედის გასწვრივ. მაგალითად, საზღვარი ლიბიასა და ეგვიპტეს შორის ა.გ. 25°-იან მერიდიანზე გადის. საქართველოში საზღვრის ძლიერ მცირე მონაკვეთი გადის მერიდიანის გასწვრივ - ივრის ზეგანის ფარგლებში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე.

სახელმწიფო საზღვრის ტიპოლოგია ნიშნავს საზღვრების კლასიფიკაციას გასაზღვრული ნიშნით. ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებისა და მისი გადალახვის სირთულეების მიხედვით არსებობს კონტაქტური, ბარიერული და კორიდორული საზღვრები. **კონტაქტური საზღვარია** ისეთი საზღვარი, რომლის გადალახვა არავითარ სირთულეს არ ქმნის ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. მაგალითად, ადვილად დასაძლევია საზღვრის გასწვრივ გადაჭიმული ვაკეები, დაბლობები, პლატოები. **ბარიერული საზღვრის** გადალახვა გარკვეულ სირთულეებს ქმნის მდებარე ოროგრაფიული ერთეულების (ქედების, კლდეების, კანიონების) გამო. მთიანი რელიეფის გამო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი ბარიერუ-

ლია. ამასთან ცალკეულ მონაკვეთებზე მაღალია ბუნებრივი კატასტორფული მოვლენებიც – თოვლის ზვავები, წყალდიდობები და მეწყერები, რაც, ართულებს, ერთის მხრივ, საზღვრის გადაკვეთის, მეორეს მხრივ, საზღვრის დაცვის შესაძლებლობას. **კორიდორები, კორიდორული საზღვარი** კი ნიშნავს ბარიერული საზღვრის ადვილად გადასალახავ მონაკვეთებს. მაგალითად, კორიდორული საზღვარია მდინარის შედარებით ფართო ტერასებიანი ხეობა, რომელიც შვეულად აღმართულ ფერდობებს შორისაა მოქცეული.

1.3 საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ: კომენტარები

1998 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ. ეს კანონი "არეგულირებს სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე" [საქართველოს კანონი..., 1998].

აღნიშნული კანონი ეფუძნება რა სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობათა რეგულირებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისო მიმოსვლის სამართლებრივი მოწესრიგებას, ხელმძღვანელობს რამდენიმე მთავარი პრინციპით. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კომენტარი შეიძლება აგკეთდეს:

1. კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება საბჭოთა კავშირის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში (მუხლი, პუნქტი 1). ასეთი საზღვარი საქართველოს აქვს მხოლოდ თურქეთთან, რომელიც 1992 წლებში იყო სსრკ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. საზღვრის ეს მონაკვეთი 1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენს ქვეყანას ერგო "მემკვიდრეობის" სახით. სახელმწიფო საზღვრის აღნიშნული მონაკვეთი არ შემოდის ჩვენი კვლევის არეალში. ამიტომ ამ საკითხს აქ არ განვიხილავთ.

2. იგივე კანონი თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს მოსაზღვრე სახელმწიფოსთან განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად (მუხლი 9, პუნქტი 5). მაგრამ ასეთის არარსებობის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის უდიდესი პერიმეტრია, მაშინ მისი დადგენა ხდება საქართველოს კონსტიტუციით, ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრითა (მუხლი 1, პუნქტი 1) და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრებით. ეს მტად ბუნდოვანია და გარკვეულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას ამ თვალსაზრისით.

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საზღვრებისაგან, კერძოდ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისაგან (მუხლი, პუნქტი 1). ერთი შეხედვით, თითქოს ეს არ უნდა უქმნიდეს საქართველოს რაიმე პრობლემას, ვინაიდან 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ადმინისტრაციული საზღვრები, რომელშიც საკანონმდებლო აქტებით იყო განსაზღვრული, სახელმწიფო საზღვრის რანგში ავიდა. მაგრამ რეალობა სხვაა. ადმინისტრაციული საზღვარი. ამის მიზეზად უპირველესად უნდა დასახელდეს საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციული საზღვრების ცვლა, შესაბამისად იგი განსხვავებულად აისახებოდა ტოპოგრაფიულ რუკებზე. ამიტომ გართულებულია ადმინისტრაციული საზღვრის "რომელი ვარიანტი" (რომელი წლის) იქნეს მიჩნეული სახელმწიფო საზღვრად. ეს პრობლემა მუდმივად გადაუჭრელი იქნება, სანამ არ განხორციელდება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონში სახელმწიფო საზღვრის შესახებ ასეთი ხასიათის ჩანაჩეწვრები, მეტად ზოგადია და რეალურად ვერ გადაჭრის ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემას. ეს პრობლემები დაკავშირებულია რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებასთან, როგორიცაა:

- საბჭოთა პერიოდში ხშირად ცვალებადი ადმინისტრაციული საზღვრები;
- არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფო საზღვრის ცვლილებასთან;
- ტოპოგრაფიულ რუკებზე სახელმწიფო საზღვრის ასახვის სიზუსტე; და სხვ.

1.4 კვლევის მეთოდები და საწყისი მონაცემები

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ–რაჭის მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციის ზუსტი სურათის აღდგენის მიზნით გამოყენებულია ისტორიულ-გენეტიკური, ისტორიულ-შედარებითი და კარტომეტრიული მეთოდები, რამაც ერთის მხრივ, შესაძლებლობა მოგვცა ახსნილიყო ამ ტრანსფორმაციის მიზეზები და თავისებურებანი, ხოლო მეორეს მხრივ, მისი მასშტაბები.

კვლევის ძირითად საფუძვლად გამოყენებულია 1:100,000 და 1:25,000 მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები, აგრეთვე გაანალიზდა GoogleEarth-ის სატელიტური რუკები. მათი მეშვეობით განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ–რაჭის მონაკვეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და დადგინდა კარტომეტრიული მაჩვენებლები.

კვლევა დაეფუძნა სხვადასხვა პერიოდში (უმთავრესად XIX-XX სს) და სხვადასხვა მეტრულ სისტემაში შედგენილი რუკების ურთიერთშედარებას. პირობითად ეს რუკები შეიძლება რამდენიმე ნაწილად დავაჯგუფოდ:

1. XIX საუკუნის კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიების (რუსეთის სამხრეთი ნაწილი) სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკები, შედგენილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ რეგიონში ჩატარებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და ასტრონომიული სამუშაოების საფუძველზე.

2. "საქართველოს ისტორიული ატლასის" [2003] რუკები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ისტორიული პერიოდის საქართველოს ტერიტორიასა და საზღვრებს.

3. სხვადასხვა წლებში გამოცემული საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები (მასშტაბები 1:100,000 და 1:25,000) [Топографические карты].

4. თანამედროვე რუკები, მათ შორის სატელიტური რუკები (GoogleEarth).

რუკების ურთიერთშედარების გარდა, კვლევა დაეფუძნა სხვადასხვა პერიოდში მიღებული სამთავრობო დადგენილებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზს, კერძოდ, მათში ასახულ საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული ინფორმაციის რუკებზე ადეკვატურად ასახვის შეფასებას.

თავი II. აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის სახელმწიფო

სასაზღვრო ზოლის გეოგრაფიული მიმოხილვა

2.1. ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

აფხაზეთის მონაკვეთი

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება შავი ზღვის სანაპიროზე, *მდ. ფსოუს* შესართავთან, *ს. ლესელიძესთან*. შემდეგ გასდევს შავიზღვისპირა დაბლობს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (ციტრუსთა პლანტაციებსა და ხეხილის ბაღებს) უკავია. აქ გადის საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი სოხუმ-სოჭის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები.

მდ. ფსოუ საქართველო-რუსეთის გამყოფია. მის მარცხენა სანაპიროზე, შავიზღვისპირა დაბლობზე, აფხაზეთის ფარგლებში მოქცეულია გაგრის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი სოფელი კულტუბანი (ყოფილი ზარია ვოსტოკა) ხოლო მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს (რუსეთი) - ვესიოლოვ. დაბლობ ზონაში, მისგან ჩრდილოეთით, მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს მდებარეობს სოფლები *სალმე, სულევო, სალხინო, მიქელრიფში* და *დემერჩენცი*. მოპირდაპირე მხარეს კი, მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს - ნიჟნაია შილოვკა (ე.წ. "გუმარია"), ვერხნაია შილოვკა და ერმოლოვკა. სოფლის მიდამოები, ფსოუს ტერასებზე გადაჭიმულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დინების აყობებით მათი ფართობები თანდათან მცირდება და წიფლნარ-რცხილნარი და წიფლნარ-სოჭნარი ტყეები ვრცელდება. ზ.დ. 250-480 მ სიმაღლეებზე, მდ. ტროიცკის (ფხისტის ერთ-ერთი სათავე) მდებარეობს სოფელი წაბლიანი. იგი უკიდურესი ჩრდილოეთი დასახლებაა მდ. ფსოუს ხეობის მთისწინა ზოლში. მისგან ჩრდილოეთით მდ. ფსოუს ძლიერ ვიწრო და კლდოვანი ხეობა იწყება. მიდამოები შემოსილია უმთავრესად წიფლნარი და წიფლნარ-წაბლნარი ტყეებით. წარსულში აქ წაბლი დიდ ფართობზე ყოფილა გავრცელებული, რაზეც სოფელ *წაბლიანის* სახელწოდებაც გვამცნობს. წაბლიანი პატარა სოფელია (1989 წლის აღწერით აქ მხოლოდ 80 კაცი ცხოვრობდა). მისი მიდამოები შემოსილია 25-28 მ სიმაღლის, უმთავრესად წიფლნარი ტყეებით. ოფიციალური მონაცემებით, ზემოთ დასახელებული სოფლები 2008 წლიდან რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

სოფელ წაბლიანის ზემოთ ფსოუ ვიწრო და კლდოვან წაბლიანიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 6-7 კმ მანძილზე მდ. ფსოუს ხეობა მკვეთრად განედური ორიენტაციისაა და მდინარე მუდმივ დასახლებებს მოკლებულ, ღრმა და ვიწრო ხეობაში გაედინება.

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი იწყება იქ, სადაც ფსოუს ხეობა მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ. ხეობის შუა ნაწილში მდებარეობს სოფელი *აიბგა*, რომელიც ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია (ჩ.გ. 43°35'). სოფელი 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი # 3, 4 და 5) მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს, საქართველოში (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი (# 1 და 2) მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადღერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 201]. სოფლის ხუთივე უბნის საერთო ფართობი დაახლოებით 15.5 ათასი ჰექტარია [Черемных, 2012].

ამ სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ფსოუს ხეობაში არცერთი დასახლებული პუნქტი არ მდებარეობს. წიფლნარი ტყეები წიფლნარ-სოჭნარებით იცვლება. ზ.დ. 2315.2 მ სიმაღლითი ნიშნულიდან ქვეყნის საზღვარი გასდევს გაგრის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის კლდოვან თხემს და აღწევს მ გესთამდე.

მ. აგეფსთასა და უსახელო მწვერვალს (მ. გვანდრასა და მ. დალარს) შორის გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც აფხაზეთის კავკასიონის სახელითაა ცნობილი. აფხაზეთის კავკასიონის დასავლეთ ნაწილში მდინარეების მზიმთისა და ფსოუს წყალგამყოფია აცეტუკის ქედი, სადაც საქართველო-კრასნოდარის მხარის საზღვარზე აღმართულია მ. აგეფსთა (ზ.დ. 3,256.7 მ). საზღვრის ეს მონაკვეთი საკმაოდ დაბალია, თუმცა აღმოსავლეთის მიმართულებით აბსოლუტური სიმაღლე თანდათან მატულობს. თხემი კლდეების სულ უფრო მეტი სიმრავლით გამოირჩევა. აქა-იქ პატარ-პატარა მყინვარებიც გვხვდება. მცენარეული საფარი უმთავრესად ალპური ბალახეულობით, ზოგან სუბალპებითა და წიფლნარ-სოჭნარების ძლიერ მცირე ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. საზღვარი აღწევს მდინარეების ლაშიფსესა (ერთვის რიწის ტბას) და მზიმთის (ერთვის შავ ზღვას ქ. ადღერთან, რუსეთი) ხეობების დამაკავშირებელ *ახუკდარის* (ახუნდარის, ახიქუდარის) უღელტეხილს (ზ.დ. 2,072 მ). აქ გადიოდა ტურისტული მარშრუტი ავადჰარიდან კრასნაია პოლიანამდე [ნიკოლაიშვილი, ახალაია, 2002].

შემდეგ საზღვარი აღწევს *მ. აჟარას* (ზ.დ. 2,908.0 მ), რომელიც მაღალმთიანი კლდოვანი მასივია, აქა-იქ მცირე ზომის მყინვარებით. მწვერვალის აღმოსავლეთით მთავრდება საქართველო-კრასნოდარის მხარის საზღვარი. აქედან საქართველოსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარია. აქ მდებარეობს: *დამბურცის უღელტეხილი* (2,442.3), *მ. ჩმახარა* (2,664.0), უღელტეხილები: *აძაფში* (2,492 მ), *სანჩარო* (2,589), *ალაშთარახუ* (2,723.0), *მაგანა*, იგივე *ცეგერკერი* (2,665.0), *ვერხნაია გრიბზა* (2824.0), *ცარგეხულირი* (2,539.0), *ლაბა*, იგივე *მოკრი* (2,575.0), რომელთა აბსოლუტური სიმაღლე 3,000 მ-ს არ აღემატება. უღელტეხილთა უმეტესობის სიმაღლე ზ.დ. 2,600 მ-მდეა და შემოსილია სუბალპური და უმთავრესად ალპური მდელოებით. აქ საცალ-ფეხო ბილიკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოეთკავკასიელებთან ურთიერთობაში. უღელტეხილების გადალახვა შესაძლებელია თოვლისაგან თავისუფალ პერიოდში, მაისი-ივნისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე.

საზღვარი აღწევს *ფსირსის ქედამდე*, რომლის თხემი კლდოვანია და აღემატება ზ.დ. 3,000 მ-ს. ზოგან მცირე ზომის მყინვარებიცაა. საზღვარი აღწევს *ფსირსის* (2,948.3) და *ნაურის* (2,839.0) უღელტეხილებს, *მ. ფსიში* (3,489.7). ამ უკანასკნელისაგან სათავეს იღებს მდ. ფსიში - ბზიფის ერთ-ერთი მდგენელი.

ბზიფის სათავეებიდან მოყოლებილი მამისონის უღელტეხილამდე თანამედროვე გამყინვარება კავკასიონის მთვარა წყალგამყოფ ქედზე თითქმის უწყვეტი სახითაა წარმოდგენილი, მისგან დასავლეთითა და აღმოსავლეთით კი მყინვარების მხოლოდ პატარა მასივებია. აფხაზეთის კავკასიონის უღელტეხილები, მისგან აღმოსავლეთით მდებარე კუთხეებთან (სვანეთი, რაჭა, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი) შედარებით, დაბალი და ადვილად დასაძლევია. ამ გარემოებამ ძნელად მისადგომი ბუნებრივი ბარიერის არარსებობამ, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ამ კუთხის ისტორიულ განვითარებაზე. აფხაზეთი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ჩრდილოეთ კავკასიის მოძალადე ტომების თავდასხმებს. როგორც მეცნიერები ფიქრობენ ამის გამო აუცილებლად შუა საუკუნეების საფორტეფიკაციო ნაგებობა, რომელიც კელასურის ან კლისურას კედლის სახელითაა ცნობილი. "ზღუდე კელასურისა" – ასე იხსენიება იგი XI საუკუნის ქართველი მემკვიდრის ჯუანშერის თხზულებაში VIII საუკუნის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით. იგი ამაგრებდა ჩდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვისპირეთში მომავალ გზებს. VIII საუკუნის

დასასრულს კი, აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მას თავისი ფუნქცია დაუკარგავს და თანდათან დანგრეულა კიდეც. მოგვიანებით მის ადგილას კიდეც აღუმართავთ საფორტიფიკაციო ნაგებობა. როგორც ფიქრობენ, აფხაზი ფეოდალების შემოსევების შესაჩერებლად ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657) აუგია ძველი კედლის ადგილას სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა [ნიკოლაი-შვილი, თოლორდავა, 201]. ამის შესახებ ცნობა მოგვეპოვება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში, სადაც იგი კელასურის კედელს „ზღუდის“ სახელით იხსენიებს. ასევე ვკითხულობთ იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის თხზულებაშიც. კელასურის კედელი თავდაცვითი კედლისა და 2000-ზე მეტი კოშკის სისტემაა, რომელიც აგებული იყო კოდორის ქედის მთისწინეთში, მთისა და ბარის გამყოფ ზოლზე, მდინარეებს კელასურსა და ღალიძგას შორის, თითქმის 160 კმ სიგრძეზე (ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული ნაშთები). ცხადია, თავდაცვით ნაგებობებს ადამიანი აგებდა იმ მხარეს, საიდანაც მას თავდასხმა და საფრთხე ემუქრებოდა. რაკი თავდაცვითი კედელი აღმართული იყო არა ზღვის სანაპიროზე, არამედ ხმელეთის სიღრმეში, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ თავდასხმებს ჩრდილოეთიდან, კავკასიონის გადაღმიდან ელოდნენ.

მარუხისა (ზ.დ. 2,746 მ) და *მამისონის* (ზ.დ. 2,819 მ) უღელტეხილებს შორის მდებარე მონაკვეთზე ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე არსად არ ეშვება ზ.დ. 3,000 მ-ზე დაბლა, თუმცა უღელტეხილების შედარებით მაღალი მდებარეობის გამო მათზე შესაძლებელი გადასვლის პერიოდი უფრო მოკლეა (ივლისიდან ოქტომბრამდე). საზღვრის ამ მონაკვეთზე მდებარეობს *მ. მარუხბაში* (3,799.6), *მ. ერწახვი*, იგივე *ერცოგი* (3,909.8), *უღ. ჩხალთა-ძიხი* (3.235.0), *უღ. სოფრუჯუ* (3,494.0), *მ. სოფრუჯუ* (3,780.7), *მ. პტიში* (3,687.8), *უღ. პტიში* (2,995.0), *მ. დომბაი-ულგენი* (ზ.დ. 4,046 მ) – აფხაზეთისა და ამავე დროს დასავლეთ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი. მ. დომბაი-ულგენიდან აღმოსავლეთით, მდინარეების გვანდრისა (კოდორის მარჯვენა მდგენელი) დათებერდის (ყუბანის აუზი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი) ხეობების დამაკავშირებელი *ქლუხორის უღელტეხილი* (2,781.8) მდებარეობს. მასზე გადის სოხუმ-თებერდის გზა. 1950-იან წლებამდე, „მცირე გამყინავრების“ პერიოდში უღელტეხილის მიდამოები მყინვარით იყო დაფარული, რომლის ქვეშ მოექცა ძველი სავალი გზა. კლი-

მატის დათბობის შემდეგ კი, როცა მრავალმა მყინვარმა უკან დახია, ძველი საუღელტეხილო გზა გამოჩნდა.

საზღვრის შემდგომი მონაკვეთი აღწევს *უღ. ნახარს* (2,885.1), *მ. გვანდრას* (3,984.9). ამ მწვერვალიდან სათავეს იღებს მდ. კოდორის ერთ-ერთი მდგენელი - მდ. საკენი. აქედან საქართველოს ესაზღვრება ყაზარდო-ბალყარეთი. აფხაზეთ-სვანეთის საზღვართან მთავარ ქედს სამხრეთის მიმართულებით გამოეყოფა კოდორის ქედი. საზღვარი აღწევს *მ. დაღარს* (3,291.0), *უღ. ჩიპერი* (3,285.0), *უღ. ჩიპერ-აზაუ* (3,264.0).

უღელტეხილების სირთულის მიხედვით აფხაზეთის კავკასიონი რამდენიმე მონაკვეთად იყოფა: დასავლეთის მონაკვეთი (ჯიქეთ-ბზიფის კავკასიონი) - ხასიათდება იოლი გადასასვლელებით, თუმცა მათი გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ მაისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე. წლის დანარჩენ პერიოდში ისინი მიუწვდომელია. უღელტეხილების უმეტესობა ზ.დ. 2,400 მ-ზე მაღლა მდებარეობს. მხოლოდ ახუკ-დარის უღელტეხილია ზ.დ. 2,100 მ-ზე დაბლა. აღმოსავლეთის მონაკვეთი (კოდორის კავკასიონი) - შედარებით უფრო მაღალმთიანი და რთული გადასასვლელია, ვინაიდან დაფარულია მყინვარების თითქმის უწყვეტი ზოლითა და კლდეებით [მარუაშვილი, 1964]. უღელტეხილების უმეტესობა ზ.დ. 3,000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. მხოლოდ მარუხის (2,746), ქლუხორისა (2,781) დანახარის (2,885) უღელტეხილებია შედარებით დაბალი. ამ უღელტეხილებზე გადასვლა შედარებით რთულია და ამავდროულად გადასვლის უფრო ხანმოკლე პერიოდი აქვთ (ივნის-ივლისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე).

აფხაზეთის სახმელეთო საზღვრების უდიდესი ნაწილი (81 %) მოდის მაღალმთიანეთზე, დაბლობის წილად კი მხოლოდ 9 %. საზღვრის გასწვრივ მდებარეობს 18 უღელტეხილი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიას აკავშირებს რუსეთთან. საზღვრის გასწვრივ მდებარე ყველა უღელტეხილი ზ.დ. 2,000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. ისტორიულად აფხაზეთის საზღვარი უმთავრესად იცვლებოდა მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი (მაღალმთიანი კავკასიონის გამო) - ნაკლებად. მოსაზღვრე ისტორიული კუთხეები: სანიგეთი, ჯიქეთი.

სვანეთის მონაკვეთი

მ. დალარიდან მ. ფასისმთამდე სვანეთის კავკასიონია გადაჭიმული. ამ მონაკვეთზე უღელტეხილების სიმაღლეზ.დ. 3000 მ-ს აღემატება და უმთავრესად თოვლ-ყინულიანი საფარითაა შემოსილი. უღელტეხილებზე მათზე გადასვლა მეტად რთულია. განსაკუთრებით რთულია სვანეთის კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილის უღელტეხილები. აქ გადასასვლელი ბილიკების მყინვარული საფარი 2-3 კმ-დან 25-27 კმ-ს აღწევს. სწორედ აქ არის თავმოყრილი საქართველოს უდიდესი მყინვარები [მარუაშვილი, 1964; Гобеджишвили, 1989]:

– **ჭალაათი** – ხეობის ტიპის მყინვარი მდ. მესტიაჭალის სათავეში. მყინვარის ენა საქართველოში ყველაზე დაბლა, ზ.დ. ,850 მ სიმაღლემდე ეშვება. იგი ერთადერთი მყინვარია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, რომელიც იჭრება ტყის ზონაში. ასე დაბლა საქართველოში არცერთი მყინვარის ენა არ ჩამოდის;

– **ლეხზირი** – ხეობის ტიპის მყინვარი მდ. მესტიაჭალის სათავეში. ფართობისა (33.4 ათ. კმ²) დასიგრძის (11.5 კმ) მიხედვით საქართველოს უდიდესიმყინვარი. იგი მცირედ ჩამორჩება კავკასიის უდიდეს მყინვარს ბეზენგს. მყინვარი სამნაკადად ჩამოდის, რომლის ქვედა ნაწილები თითქმის მთლიანად გადაფარულია მორენული მასალით. აქ მდებარეობს 300 მ სიმაღლის ყინულ-ჩანჩქერი;

– **ტვიბერი** – ხეობის ტიპის მყინვარი, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. წარსულში იგი კავკასიის უდიდესი მყინვარი იყო, მაგრამ 1950-იან წლებში იგი დანაწევრდა და მისგან მყინვარის რამდენიმე ტოტი წარმოიქმნა. მყინვარის სიგრძეა - 9.5 კმ, ფართობი - 27 კმ². წარსულში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადი, რომელიც დამოუკიდებელ მყინვარად ჩამოყალიბდა, კითლოდია (ყვითლოდი). მყინვარის ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია მორენული;

– **წანერი** – ხეობი ტიპის მყინვარი მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. სიდიდით მეორე მყინვარია საქართველოში. მისი სიგრძეა 11.2 კ, ხოლო ფართობი - 28.8 კმ²;

– და მრავალი სხვა.

სვანეთის საზღვრის გასწვრივ რთული გადასასვლელებია. აქ ბუნებრივ ბარიერებს ქმნის კლდოვანი და თოვლ-ყინულიანი მაღალმთიანი კავკასიონი. **ნაკრის უღელტეხილი** (3,203) საცალფეხო ბილიკით აკავშირებს მდინარეების ნაკრისა (ენგუ-

რის მარჯვენა შენაკადი) და ბაქსანის (თერგის აუზი, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე) ხეობებს, ზემო სვანეთსა (მესტიის მუნიციპალიტეტი) დაყაბარდო-ბალყარეთს [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2009]. აქ მდებარეობს: *ულ. დონღუზ-ორუნბაში* (3,203.0), *მ. დონღუზ-ორუნბაში ყარაბაში* (4,454.0), *ულ. ბეჩო* (3,367.2). საზღვრის ამ მონაკვეთზე ბეჩოს უღელტეხილი ყველაზე ადვილი დასაძლევია. იგი ბილიკით აკავშირებს დოღრასა (ენგურის მარჯვენა შენაკადი) და იუსენგის (ბაქსანისაუზი, ყაბარდო-ბალყარეთი) ხეობებს. ისტორიულად სვანეთისათვის ბეჩოს უღელტეხილი დიდ როლს ასრულებდა ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობაში. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში კავკასიონის მთიელი ხალხი, განსაკუთრებით კი სვანი მამაკაცები, სეზონური სამუშაოს ძიების მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდნენ.

ბეჩოს უღელტეხილის შემდეგ საზღვარი არწევს *მ. შხელდას* (4,368.4), *მ. ჩატინთაუს* (4,411.9), *მ. კავკასიის პიკს* (4,280.0), *მ. ულუყარას* (4,302.0), *მ. ბაშყალას* (4,162.0), *მ. ჯანტუგანს* (4,012.0), *ულ. ჯანტუგანს* (3,483.0), *მ. ლაწგას* (4,019.0), *ულ. გარვაშს* (3,665.0), *ულ. მესტიას* (3,757.0), *ულ. ლეხზირს* (3,687.0), *მ. ბაშილთაუს* (4,184.0), *ულ. ლასხედარს* (3,629.0), *ულ. ტვიბერს* (3,607.0), *ულ. კიტლოდს* (3,629.0), *მ. ტიბტენგენს* (4,617.6), *ულ. წანერი* (3,887.0), *მ. ლალგერი* (4,355.0).

შემდგომ საზღვარი გასდევს კავკასიონის მთავარი ქედის იმ მონაკვეთს, რომელიც უმაღლესი ადგილია საქართველოში და სადაც თავმოყრილია რესპუბლიკის ყველაზე მაღალი მწვერვალები. იგი *ბეზენგის კედლის* სახელწოდებითაა ცნობილი. თითქმის ვერტიკალურად აღმართული და თვალმიუწვდენელი მწვერვალების გამო სვანები მას ფიცრულას, ანუ ხალდეს კედელს უწოდებენ. გადასვლის თვალსაზრისით აქ მდებარეობს საქართველოს საზღვრის ყველაზე რთული მონაკვეთი – ბეზენგის კედელი. ამიტომაც ყველაზე ნაკლებად საქართველოს საზღვრის სწორედ ეს მონაკვეთი იცვლებოდა ისტორიულად. XIX საუკუნის მკვლევარებმა კი ბეზენგის კედელს „სვანეთის ალპები“ უწოდეს. აქ მდებარეობს საქართველოს და კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი მწვერვალი *შხარა* (5201). ფერდობების ქვედა ნაწილი სუბალპური და ალპური მდელოებითაა შემოსილი, ხოლო ზედა – თოვლ-ყინულიანი საფარით. მისგან რამდენიმე ყინულოვანი ჩანჩქერი ეშვება, რაც არნახულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. შხარა მრავალი ტურისტისა და ალპინისტის მიზიდვის ობიექტია.

ბეზენგის კედლის ფარგლებში მდებარეობს აგრეთვე მწვერვალები: *გისტოლა* (4,859.8), *კათინთაუ* (4,979.0), *შოთა რუსთაველი* (4,859), *ჯანლა*, იგივე *ჯანდითაუ* (5,058.8), *პუშკინის პიკი* (5,033.6). სვანეთის კავკასიონზე, მდ. ენგურის სათავეში, ზ.დ. 4853 მ სიმაღლეზე მდებარეობს მ. თეთნულდი.

სვანეთის ჩრდილოეთი საზღვარი უმთავრესად ზ.დ. 3,000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. აქ 12 უღელტეხილია, რომელთა სიმაღლე ზ.დ. 3,200-ს აღემატება.

რაჭის მონაკვეთი

ბეზენგის კედლიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე შედარებით ნაკლებია. აქედან იწყება რაჭის საზღვარი, რომელიც კვლავ კავკასიონის მთავარ ქედს – რაჭის კავკასიონის სახელით ცნობილ მონაკვეთს გასდევს. აქ მდებარეობს *ულ. შარვცეკი* (3,434.0), *მ. შარიტაუ* (3,689.0), *ულ. გურბიევცეკი* (ზ.დ. 3325 მ), *მ. ფასისმთა* (3,77.0) - აქ საზღვარი გაივლის რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში მდებარე. *გეზევცეკის უღელტეხილის* (3,452.0) შემდეგ 170 კმ-ზე გადაჭიმულია საქართველო-ალანიის სასაზღვრო ზოლი. აქ მდებარეობს: *მ. ლაბოდა* (4,313.7), *მ. წითელი* (4,258.5), *ულ. გეზევცეკი* (3,461.2), *ულ. გურბიევცეკი* (3,349.1), *მ. ყარაუგომი* (4,364.3), *მ. ჭანჭახი* (4,461.5).

კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილი მ. იალბუზის მერიდიანიდან დვალეთის ქედამდე, შავი და კასპიის ზღვების წყალგამყოფია.

საქართველოს საზღვარი შემდგომ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და აღწევს *მამისონის (ჭანჭახის) უღელტეხილამდე* (2820.1). ეს უღელტეხილი აკავშირებს მდინარეების ჭანჭახისა (რიონის მარცხენა შენაკადი) და ურუხ-არდონის (თერგის მარცხენა შენაკადი, ალანია) ხეობებს და შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. მის მიდამოებში, ზ.დ. 2854 მ სიმაღლეზე ადრე ფუნქციონირებდა მაღალმთის მეტეოროლოგიური სადგური ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საქართველოში. ამჟამად აქ რუსეთის სასაზღვრო საგუშაგო მდებარეობს. სახელწოდება „მამისონი“ მომდინარეობს ოსური სიტყვებისაგან: „მა“ და „მისინ“, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „არა“ და „მოსაგონარი“, ე.ი. „არასასიამოვნო“, „არასახსნებელი ადგილი“. ასეთი სახელი უღელტეხილს ძველთაგანვე შერქმევია გადასასვლელის სირთულის გამო. ამჟამინდელი გზა გაცილებით კეთილმოწყობილია.

რაჭას ესაზღვრება რუსეთი (ყაზარდო-ბალყარეთი, ალანია). საზღვრის გასწვრივ 4 უღელტეხილია. უღელტეხილებზე გადასვლა შესაძლებელია უმთავრესად ცხენითა და ფეხით. აქ მხოლოდ მამისონის უღელტეხილზეა შესაძლებელი მანქანით, თუმცა მეტად არაკომფორტული, მიმოსვლა. საზღვრების უდიდესი ნაწილი (93 %) მოდის ზ.დ. 2,500-4,000 მ სიმაღლის დიაპაზონზე. ისტორიულად რაჭის ჩრდილოეთი საზღვარი ნაკლებად იცვლებოდა. მოსაზღვრეისტორიულიკუთხე: დვალეთი.




2.2. საზღვრის კარტომეტრიული ანალიზი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთი გადაჭიმულია დაახლოებით 500 კმ მანძილზე. 1:100,000 მასშტაბის რუკაზე ჩატარებული გაზომვებით [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2009] ირკვევა, რომ უდიდესი მონაკვეთი (თითქმის 50 %) მოდის აფხაზეთზე (249.82; 250.80 კმ), ხოლო უმცირესი - რაჭაზე (97.58; 98.20 კმ). თუმცა სახელმწიფო საზღვრების საერთო სიგრძით საქართველოში აფხაზეთი მეორე ადგილზეა. მას ესაზღვრება რუსეთი - კრასნოდარის მხარე და ყარაჩაი-ჩერქეზეთი (ცხრ. 1). რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის უდიდესი სიგრძე მოდის ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაზე (197.14; 198.6 კმ), ხოლო უმცირესი - კრასნოდარის მხარეზე (84.25; 84.20 კმ). საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებიდან კი უდიდესი სახელმწიფო საზღვრის უდიდესი მოდის მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტებზე, ხოლო ყველაზე მცირე მონაკვეთი - ლენტეხის მუნიციპალიტეტზე.

ჩვენი კვლევის სფეროში შემოსული საქართველოს სამივე მხარის სახელმწიფო საზღვრის უდიდესი ნაწილი მოდის მაღალმთიანეთზე (ზ.დ. 2,000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე (ნახ. 2). აფხაზეთში მაღალმთიანეთზე მოდის სახმელეთო საზღვრის 80 %-ზე მეტი, ხოლო სვანეთისა და რაჭის მთელი პერიმეტრი მაღალმთიანია. ამასთან ზ.დ. 4,000 მ-ზე მაღლა მდებარე მონაკვეთი სვანეთის საზღვრის სიგრძის 43 %-ია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი რთული გადასალახავია.

ცხრ. 1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის სიგრძე
(მექანიკური გაზომვების შედეგები)

ადმინისტრაციული ერთეულები	საქართველოს მუნიციპალიტეტები	საზღვრის სიგრძე (რ. თოლორდავას მიხედვით)	საზღვრის სიგრძე (დ. ნიკოლაიშვილის მიხედვით)	სხვაობა	რ. თოლორდავას მიხედვით			დ. ნიკოლაიშვილის მიხედვით		
კრასნოდარის მხარე	გაგრის	61.21	61.00	0.21	61.21	249.82	84.25	61.00	250.80	84.20
	გუდაუთის	23,04	23.20	-0.16	23.04		29.90	23.20		30.40
ყარაჩაი- ჩერქეზეთის რესპუბლიკა	გუდაუთის	6.86	7.20	-0.34	6.86	197.14	7.20	153.00	198.60	
	სოხუმის	61.54	62.00	-0.46	61.54		62.00			
	გულრიფშის	97.17	97.40	-0.23	97.17		97.40			
		მესტიის	31.57	32.00	-0.43	31.57	152.73	32.00	132.00	126.40
ყაბარდო- ბალყარეთის რესპუბლიკა	მესტიის	100.21	100.00	0.21	100.21	131.78		100.00		
	ლენტეხის	20.95	21.00	-0.05	20.95	126.46		21.00		
	ონის	5.30	5.40	-0.10	5.30	97.58	5.40	98.20	92.800	
ალანია	ონის	92.28	92.80	-0.52	92.28		92.28	92.80		



ნახ. 2. სახელმწიფო საზღვრის სიგრძე აბსოლუტური სიმაღლის შესაბამისად

2.3. საზღვრისპირა განსახლება

სახელმწიფო საზღვრისპირა დასახლება მცირეა. ყველა მათგანი სოფელია. არის განსაკუთრებით მცირერიცხოვანი სოფლებიც, როგორებიცაა გონა, ზესხო და ა.შ.

აიბგა - ადლერის რაიონი, ნიჟნეშილოვკის საკრებულო. მდებარეობს 840 მეტრზე ზღვის დონიდან. სოფელი 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი # 3, 4 და 5) მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს, საქართველოში (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი (# 1 და 2) მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადლერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს.

ალურაფსთა - სოხუმის მუნიციპალიტეტი (ფსხუს თემი), მდინარე ბავიუს (ბზიფის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 870 მ, სოხუმიდან 60 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ბაიდაევო - ყაბარდო ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 29 კმ-ით, იალბუზის მისადგომებიდან აღმოსავლეთით 15 კმ. სოფელი დააარსა 1957 წელს დეპორტაციიდან დაბრუნებულ ყაბარდოელმა ბაიდაევების ოჯახმა. სოციალური ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული, ეკონომიკური აქტიურობის ძირითადი საშუალება არის ტურიზმი.

გონა — ონის მუნიციპალიტეტი, ღების თემი. მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ჩვეშურის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირას. ზღვის დონიდან 1680 მეტრზე, ქალაქ ონიდან დაშორებულია 39 კილომეტრით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 2 კაცი. გონა ანუ გონი სულხან-საბას განმარტებული აქვს როგორც – „კერპი აღმართებული“ და ცნობილია, რომ ის იყო უმთავრესი კერპი წარმართულ საქართველოში.

დემერჩენცი - მდებარეობს ზღვის დონიდან 80 მეტრზე. 1992 წლიდან ატარებს სახელს ხიშხარიფში.

ელბრუსი - ყაბარდო ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 25 კმ-ით, იალბუზის მისადგომები-

დან კი 18 კმ-ით. სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს მისი მთავარი ღირშესანიშნაობა ადილ-სუს ხეობა, რომელიც ვიზიტორების დიდი რაოდენობით გამოირჩევა.

ერმოლოვკა - ადლერის რაიონი, ნიჟნეშილოვკის საკრებულო. სოფელი გაყოფილია ორად ფსოუს მარჯვენა შენაკადი ერმოლოვკით. სოფლის ჩრდილოეთი მონაკვეთი ხიდით უკავშირდება აფხაზურ სოფელ მიქელრიფშს. სასაზღვრო გამშვები პუნქტის არარსებობის გამო მოძრაობა შეწყვეტილია.

ზემო აჟარა - გულრიფშის მუნიციპალიტეტი, აჟარის თემი, მდინარე კოდორის ხეობა, მდებარეობა ზღვის დონიდან 950 მ. 2002 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 322 ადამიანი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ზესხო (ყოფილი ზერია) — სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ცანის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ზესხოს (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ზღვის დონიდან 1800 მ, ლენტეხიდან 62 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 29 კაცი. 2012 წლისთვის ცხოვრობდა ერთი მუდმივი მოსახლე.

კულტუბანი - ყოფილი ზარია ვოსტოკა, სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაგრის მუნიციპალიტეტში ფსოუსა და ლაფსთას შორის. მდებარეობს ზღვის დონიდან 100 მეტრზე. გაგრიდან 22 კმ-ის, ხოლო ლესელიძის რკინიგზის სადგურიდან 5 კმ-ის დაშორებით. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. მისი აფხაზური სახელწოდებაა ასაბულეი (*Асабулей*). XX საუკუნის დასაწყისში მას ეძახდნენ კულტურულ ნაკვეთებს (*Культурные Участки*) 1956 წელს მას დაარქვეს კულტუბანი, 1992 წლის 4 დეკემბრიდან კი ისევ ძველი სახელი დაუბრუნდა.

ლესელიძე - პირველი დასახლებული პუნქტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მოცემულ მონაკვეთზე არის დაბა ლესელიძე. დაბა ლესელიძე მდებარეობს გაგრიდან 14 კილომეტრში. მისი აფხაზური სახელწოდებაა გეჩრიფში. მეცხრამეტე საუკუნეში სოფელი პოპულარული გახდა თავისი სასიამვნო ჰავის წყალობით, ამ პერიოდში მას რუსებმა იერმოლოვკა დაარქვეს, იმდროინდელი მიწათმოწყობის მინისტრის ა.ს. ერმოლოვის პატივსაცემად რომელიც ამ ადგილებს სტუმრობდა 1894 წელს. ასევე გავრცელებულია მცდარი აზრი იმის შესახებ რომ დასახელება მოდის კავკასიის ფრონტის მთავარი მეთაურის, გენერალ ერმოლოვის

სახელიდან გამომდინარე. 1944 წლის 1 ივნისის მითითებით დაბას გენერალ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის პატივსაცემად შეუცვალეს სახელი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასახლება ვითარდებოდა და თანდათან კურორტად ჩამოყალიბდა. გაიხსნა საბავშვო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სპორტული ბაზა-პანსიონატები, რომელიც წამყვანი სპორტსმენების საყვარელ ადგილად ითვლებოდა. აქ ატარებდა შეკრებებს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრები და სხვა წამყვანი გუნდები. ასევე წვრთნებს გადიოდნენ ხელბურთისა მსუბუქი ათლეტიკის ნაკრებები.

მარცხენა გენწვიში - გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), მდინარე კოდორის მარცხენა მხარეს. ზღვის დონიდან 720 მ, გულრიფშიდან 86 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 116 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

მარჯვენა გენწვიში - სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), მდინარე კოდორის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 720 მ, გულრიფშიდან 84 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 207 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

მიქელრიფში - მიქელრიფშის თემი, მდებარეობს ზღვის დონიდან 200 მ, გაგრიდან 30 კმ.

ნიჟნიაია შილოვკა(Нижняя Шиловка) - ადლერის რაიონი, კრასნოდარის მხარე. არაოფიციალური სახელია გუმარია. იგი მდებარეობს მდინარე ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე ადლერის რკინიგზის სადგურიდან 16 კმ-ის დაშორებით. **ომარიშარა** - გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), აფხაზეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე გვანდრის (კოდორის ერთ-ერთი სათავე) ხეობაში. ზღვის დონიდან 800 მ, გულრიფშიდან 90 კმ. 1989 წელს ცხოვრობდა 302 კაცი, უმრავლესობა სვანური მოსახლეობა, 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 229 ადამიანი. 108 საკუთრივ ომარიშარაში, ხოლო 121 ზემო ომარიშარაში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

სალმე - მდებარეობს ზღვის დონიდან 40 მეტრზე, გაგრიდან 25 კილომეტრზე. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 1884 წლისთვის აქ

დასახლდა კუუსალუს პრიხოდის ესტონელები, ესტლანდიის გუბერნიის რეველსკის უეზდის აღმოსავლეთ ნაწილიდან. 1885 წელს მან მიიღო დასახელება სალმე. 1992 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით აფხაზებმა მას ძველი სახელი ფსოუ-ახაბლა დაარქვეს.

სალხინო - მდებარეობს ზღვის დონიდან 150 მეტრზე, გაგრიდან 32 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. მისი აფხაზური სახელწოდებაა ლახირკა.

სულევო - მდებარეობს ზღვის დონიდან 220 მეტრზე. გაგრიდან 40 კმ-ში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 1884 წელს სოფელი პშოუხუა (*Пшоухуа*) გახდა სულევო, 1948 წელს - **ფსოუსპირი**, შემდეგ ისევ სულევო. 1992 წლიდან აფხაზები ძველი სახელიტ მოიხსენიებენ.

ტეგენეკლი - ყაბარდო ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 27 კმ-ით, ხოლო იალბუზის მისადგომებიდან 17 კმ-ით. 14 წლის მარტამდე ამ ტერიტორიებზე მდებარეობდნენ რამოდენიმე აული. მომდევნო 13 წლის მანძილზე კი არავინ არ სახლობდა. მხოლოდ 1957 წლიდან, მას შემდეგ რაც ყაბარდოელები დაბრუნდნენ დეპორტაციიდან მათ დაარსეს ერთიანი სოფელი და უწოდეს ტეგენეკლი.

ტერსკოლი - ყაბარდო-ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 37 კმ-ით. იგი ითვლება რუსეთის ერთ-ერთ წამყვან სათხილამურო კურორტად და ძირითადად დასახლებულია იალბუზის რეკრეაციული რაიონის მომსახურე პერსონალით.

ფსხუ აფხ. Псхуа) — სოხუმის მუნიციპალიტეტი. მისი მოსახლეობა 2011 წლისთვის 189 ადამიანი იყო, 172 რუსი და 17 აფხაზი. სოფელი მდებარეობს ამავე სახელწოდების ხეობაში, მდინარე ბზიფის სიახლოვეს. სოფელი ერთ დროს აფხაზი ფსხუს ტომებით იყო დასახლებული, ერთ-ერთი ბოლო ხალხი, რომლებიც რუსებმა კავკასიაში დაიპყრეს. რუსების შემოსვლის შემდეგ 1864 წელს თითქმის ყველა მათგანი თურქეთში გადაიხვეწა. სოფელს ელექტროენერგიას ამავე მიდამოში ნაგები მცირე ჰიდროელექტროსადგური აწვდის. აქვეა მცირე აერობილიკიც, რომელიც მცირე ზომის თვითმფრინავებს ემსახურება. სოფლის განაპირას მდგარი მთა ინალკუბა (ფსხუ-ნიხა, 1290 მ) აფხაზი ხალხის შვიდი სიწმინდიდან ერთ-ერთია. საინ-

ტერესია ის ფაქტი, რომ 1942 წელს ის დაიკავა ფაშისტური გერმანიის სამხედრო შენაერთებმა. ის იყო ერთადერთი დასახლებული პუნქტი რომელის ალბაც გერმანელებმა მოახერხეს.

ქვემო აჟარა - გულრიფშის მუნიციპალიტეტი, აჟარის თემი, მდინარე კოდორის ხეობა. ზღვის დონიდან 595მ. დაშორება გულრიფშიდან 79 კმ. 2002 წლის მონაცემებით ცხოვრობს 48 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ღვანდრა - გულრიფშის რაიონი, ზღვის დონიდან 800 მ. 1989 წელს მოსახლეობა შეადგენდა 105 ადამიანს, 2002 წელს 97-ს. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

წალკოტი - გაგრის რაიონი, ზღვის დონიდან 80 მეტრი. XIX საუკუნეში ლაპსტარხა გადაკეთდა როგორც ბარანოვო. 1948 წელს სოფელს დაერქვა წალკოტი. 1992 წლიდან ძველი სახელით მოიხსენიებენ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

2.4. საზღვრისპირა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის სიახლოვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელთაც აქვთ კულტურული მემკვიდრეობის მაღალი ღირებულება. მათი ზუსტი ლოკალიზაციის განსაზღვრას, ეტიმოლოგიურ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სახელმწიფო საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციების შესწავლის მიზნით. ძველ რუკებზე ასახული და ისტორიულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია ამ მხრივ, შეუცვლელია. ჩვენი საკვლევი ობიექტის სიახლოვეს კულტურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი მდებარეობს.

განთიადის, იგივე **ცანდრიფშის** ბაზილიკა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე სოფელ განთიადში, ქ.გაგრიდან 14 კმ ჩრდილო-დასავლეთით. ძეგლი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, სამი წინ გამოზიდული აფსიდით. ნაგებობას თავდაპირველად ნართექსიც (ტაძრის შესასვლელი სათავსი) ჰქონია. იგი ნაგებია საშუალო ზომის სწორი ფორმის ადგილობრივი კირქვის კვადრებით. განთიადის ბაზილიკის კამარაში და კონქაში ჩაშენებული იყო კირხსნარით შედუღებული

ამფორები. მათი რიცხვი ორ ათეულს აღემატება. ეს მეთოდი ტრადიციული იყო რომაულ ბიზანტიური არქიტექტურისათვის და იგი ძირითადად კამარის კონსტრუქციის შემსუბუქების მიზნით გამოიყენებოდა. ამფორები ბაზილიკის თანადროულიადა VI ს-ით თარიღდება.

ბაზილიკაში თხუთმეტამდე ქრისტიანული სამარხია. ისინი შეიძლება ორ ტიპად დაიყოს. პირველ ტიპს წარმოადგენენ წვრილი ქვით, დულაბით, კრამიტითა და აგურით ნაგები სამარხები, რომლებიც ქვის ფილებით იყო დახურული. მეორე ტიპის სამარხები მხოლოდ ქვითაა ნაგები და არცერთ მადგანს ძირი არა აქვს. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია მინის ჭურჭელით.

განთიადის ბაზილიკის თვისებურებაა აღმოსავლეთ ნაწილის არქაული ნიშნები, დაბალი არდაბაგი, მსგავსი სირიისა და მცირე აზიის ბაზილიკებისა, ამავე დროს, გამოყენებულია კონსტანტინოპოლური ტიპის ამბიონის დეტალები, რაც ამრეგიონში, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ისე კონსტანტინოპოლის გავლენებზე მიუთითებს.

შემდეგ საქართველოს საზღვრის მოცემულ მონაკვეთთან მეტნაკლები სიახლოვის მქონე კულტურის ძეგლებია: *თავრალის მაცხოვრის ეკლესია, ცოკულდის მაცხოვრის სახელობის* ტაძარი. გუდიჭალას ხეობაში გულას მყინვართან სიახლოვეს *გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი*. მულახის თემში *ჟამუშის მაცხოვარი, ჭოლაშის წმინდა გიორგი, ჩვაბიანის მიქაელ მთავარანგელოზი, ადიშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია*, ადიშის მიდამოებში შუა საუკუნეების სხვადასხვა ძეგლია შემორჩენილი მათშორისაა *მაცხოვრისეკლესია* X-XI ს. *უშგულისლამარია* - IX-X საუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, უშგულის თემში. მდებარეობს სოფელ ჟიბიანის ჩრდილოეთით ამაღლებულბორცვზე. მას შემორტყმული აქვს გალავანი, რომელიც დასავლეთის მხრიდან სრულდება სვანური კოშკითა და ორი დამხმარე ნაგებობით. ეკლესია ბაზილიკის ტიპისა. დასავლეთით აქვს სტოა რომელსაც შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს. ეკლესიაში შემორჩენილია XIX ს. სერობის რუსული ხატი და უძველესი ფრესკები.

თავი III. კვლევის ძირითადი შედეგები


3.1. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების გამაპირობებელი ფაქტორები

ქვეყნის საზღვრების ტრანსფორმაციები მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, რაშიც წამყვანი როლი ეკუთვნის კონკრეტულ პერიოდში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. თუმცა ამავედროულად მნიშვნელოვან როლს (ტრანსფორმაციების ხელისშეწყობა, ან ხელისხელმშლელ) ასრულებს გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებიც. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, გეოგრაფიული ფაქტორი საზღვრის ისტორიული ცვლილების ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელი ფაქტორად გვევლინება [Nikolaishvili Dali, Tolordava Revaz, 2013].

ცხადია, სახელმწიფო საზღვრები გადის კონტაქტურ, ან ბარიერულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებზე საზღვრებზე. ისტორიულად ეს გარემოება უდიდეს გავლენას ახდენდა ნებისმიერი ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, თუ კულტურულ განვითარებაზე. მაგალითად, კავკასიაში, რომელიც რთული და მეტად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, ყოველთვის ქმნიდა პოლიტიკური დაქუცმაცების, დაშლისა და დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბების საფუძველს. შედარებით ერთგვაროვანი ბუნებრივი პირობების ფონზე კი ხშირად ვრცელი პოლიტიკური გაერთიანებები ფორმირდებოდნენ. მეორეს მხრივ, რთული ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობდა მდგრადი და ნაკლებად ცვალებადი სახელმწიფო საზღვრების ფორმირებას.

საქართველოს კონტექსტში საკითხის აქტუალობა უკავშირდება ქვეყნის მდებარეობს რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც სახელმწიფო საზღვრის ურღვევობა ქვეყნების სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტია. ეს კი, თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება არ იძლევა სასაზღვრო ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარების დიდ შესაძლებლობას. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთი მკვეთრად განსხვავებულ ვითარებაშია მოქცეული ამ თვალსაზრისით. ოროგრაფიული ფაქტორების გამო აქ არსებობს მონაკვეთები მეტ-ნაკლებად საზღვრების ცვლილების სატბილურობით და პირიქით.

XIX საუკუნეში საქართველოს ტერიტორიული დაყოფამ არაერთი ცვლილება განიცადა, რასაც თან ახლდა ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების ტრანსფორმაცია. XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს ტერიტორია მოქცეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, აგრეთვე ყარსის ოლქის ფარგლებში (ნახ. 3). საქართველო-რუსეთის საზღვრის გასწვრივ ქუთაისის გუბერნიის 3 (სოხუმის ოკრუგი, ლეჩხუმისა და ონის მაზრები), ხოლო თბილისის გუბერნიის 5 (გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრები) ტერიტორიული ერთეული მდებარეობდა. რუსეთის მხრიდან ამ ტერიტორიულ ერთეულებს ესაზღვრებოდა თერგის, ყუბანისა და დაღისტანის ოლქები, აგრეთვე შავი ზღვის ოკრუგი [საქართველოს ატლასი, 1964]. თანამედროვეობამდე საქართველო-რუსეთის იმდორინდელმა საზღვარმა რიგი ტრანსფორმაცია განიცადა, უმეტესწილად საქართველოსათვის ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე. გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს იმდროინდელი საზღვრის ჩრდილო-დასავლური უბანი (მდ. ფსოუს მარცხენა სანაპირო და გაგრის ქედის დასავლური განშტოებების ზოგიერთი მონაკვეთი), რომელიც მაშინ საქართველოს მოსაზღვრე შავი ზღვის ოკრუგში შედიოდა.



ნახ. 3. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

1920 წლის 7 მაისს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (რსფსრ) და საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმადაც რუსეთმა აღიარა "საქართველოს სახელმწიფოს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა" და ნებაყოფლობით თქვა უარი ყველა უფლებებზე, რომელიც მას გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) დარღვევითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით ჰქონდა უზურპირებული.

ხელშეკრულების 3-ე მუხლის თანახმად საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე, მდინარე ფსოუს შესართავთან, მიუყვებოდა მდინარეს მთა ასახამდე (ზ.დ. 2315,2 მ), შემდეგ აღწევდა მთა აგეფსთას და აქედან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გასდევდა ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთულების - შავი ზღვის ოკრუგის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს გასდევდა. აქედან კი საზღვარი ზაქათალის ოლქამდე და მისი აღმოსავლეთ მიჯნის გასწვრივ სომხეთის საზღვრამდე აღწევდა. ამავე მუხლის 2-ე მუხლის თანახმად საზღვრის გასწვრივ მდებარე ყველა უღელტეხილი აღიარებული იყო ნეიტრალურად და მათი დაკავება ან გამაგრება ეკრძალებოდა მომლაპარაკებელი მხარის ჯარებს (1922 წლის 1 იანვრამდე). დაწესდა უღელტეხილების ნეიტრალიზაციის ზონები, რომელიც აითვლებოდა 5 ვერსის მანძილზე საზღვრის გავლის პუნქტიდან ორივე მხარეს. გამონაკლისი იყო რამდენიმე უღელტეხილი, მაგალითად, დარიალის ხეობაში იგი ვრცელდებოდა ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე კი - ზამარაგიდან ონამდე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ორივე ხელმომწერი სახელმწიფოს მხრიდან თანაბარი რაოდენობის წევრებით დაკომპლექტებული სპეციალური სასაზღვრო კომისიის შექმნა, რომლის მუშაობის შედეგები სპეციალურ შეთანხმებაში უნდა ასახულიყო. და რაც მთავარია, სამშვიდობო ხელშეკრულების 3-ე მუხლის 1 პუნქტში რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი სახელმწიფო საზღვრის სტატუსით განისაზღვრა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის უმეტეს მონაკვეთზე ისტორიული ტრანსფორმაციები მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. ამ ფაქტორთა შორისაა გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებები, საზღვრის

ადმინისტრაციული ფუნქციის სტატუსი, არასამათლებრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ისტორიული დოკუმენტების არასწორი ინტერპრეტაციები, სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ რუკებზე სხვადასხვაგვარად გატარებული საზღვრის კონტურები, არადელიმიტირებული და არადემარკირებული საზღვარი. ყველა ეს ცვლილება ყოველთვის "ითვალისწინებდა" ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს და პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ წამყვან ფაქტორად გვევლინებოდა. უმეტეს შემთხვევაში, საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია სწორედ ადგილის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ხდებოდა. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა შორის ჩვენ ვიხილავთ ზოგიერთ მათგანს, რომელთაც მალიმიტირებელი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ისტორიის მანძილზეც და ამჟამადაც ასრულებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოძრავებელი ძალის ფუნქციასაც.

პოლიტიკური ფაქტორები

სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალის ფუნქციას ასრულებდა მთელი ისტორიის მანძილზე. არსებული ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მუდმივი ტრანსფორმაციის რეჟიმში განაგრძობდა არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოდან დღემდე. ქვეყანამ მნიშვნელოვან ტერიტორიულ დანაკარგებს XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მიაღწია. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა აფხაზეთის მონაკვეთზე. ამ პერიოდიდან 1929 წლამდე სასაზღვრო სივრცე ამ ნაწილში მეტად პირობითი იყო და ხშირი ომების გამო მუდმივ სივრცე-დროითი ტრანსფორმაციის რეჟიმში იმყოფებოდა.

კარტოგრაფიული ფაქტორები

ტერიტორიისა და საზღვრების ისტორიული ცვლილებების გამო სარგებლობაში იყო სხვადასხვა მასშტაბის რუკები, სადაც საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების საზღვრები სხვადასხვანაირადაა გატარებული. ამასთან საბჭოთა პერიოდში არ ჩატარებულა მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების ერთიანი

ცენტრალიზებული აგეგმვა. ამასთან არ არსებობდა სსრკ-ის ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ დასახელებული სამინისტროები და უწყებები და, რომლითაც დარეგულირდებოდა საზღვრების საკითხი. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ის შეუთანხმებელი და ხშირ შემთხვევაში არამართლზომიერი უწყებრივი ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რამაც განაპირობა საქართველოსა და მის მოსაზღვრე ქვეყნების საზღვრების განსხვავებული ინტერპრეტაცია. სწორედ ამ მიზეზთა გამო შეიქმნა სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული და თემატური მსხვილმასშტაბიანი რუკები, მათზე განსხვავებულად ასახული საზღვრებით.

1990-იანი წლების ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ კავკასიაში საზღვრების გადასინჯვის აუცილებლობა წარმოშვა, რაც არც ისე მარტივი და იოლად მოსაგვარებელი საკითხია. რეგიონში არსებული თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების გარდა, ამის მიზეზები სახელმწიფო საზღვრის წარსულში არამართლზომიერ გატარებაში უნდა ვეძიოთ. უპირველესად უნდა ითქვას, რომ წარსულში საერთაშორისო სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგებისას იგნორირებული იყო გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული პრინციპი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრის გამიჯვნისას არასწორი გეოგრაფიული მიდგომების შეფასებაც.

XIX-XX საუკუნეებში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირებაში. საქართველოს რუ-სეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევამ არსებული სახელმწიფო საზღვრების სრული მოშლა და ტერიტორიების ადმინისტრაციული რეგიონების რანგამდე დაქვეითება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, საზღვრები მხოლოდ შეთანხმებული იყო და მათი ადგილზე მონიშვნა (დემარკაცია) არ განხორციელებულა. ტერიტორიული გადანაწილება ყოველგვარი ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა პრინციპების გათვალისწინების გარეშე განხორციელდა. ხშირად ეს პროცესი ადგილზე მოსახლეობის ეროვნული, ან რელიგიური კუთვნილების, ან კიდევ სამეურნეო მოსაზრებებით და პოლიტიკური შეხედულებებით, ან მათი კომპლექსით იმართებოდა.

კავკასიაში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების(1) შედეგებით საქართველომ (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) მიიღო დაკარგული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა პრობლემებს ზოგჯერ ქმნიდა კარტოგრაფიული მასალების

უზუსტობები, ხელშეკრულებების არასწორი ინტერპრეტაციები, დაბალი ინფორმირებულობა და ადგილმდებარეობის არასაკმარისი გეოგრაფიული შესწავლა, ზოგადად კი გეოგრაფიული ფაქტორების უგულებელყოფა. დემარკაციის პროცესში მხარის გეოგრაფიულ შესწავლაში არსებული ხარვეზები ხშირად მაინც იჩენდა თავს.

საზღვრის ხაზის განსაზღვრისას გაურკვევლობებს ქმნიდა რთული ოროგრაფიული პირობები, წყალგამყოფებისა და რელიეფის უმაღლესი წერტილების არათანხვედრა, კლდეებისა და ფლატეების არსებობა და სხვ. სადელიმიტაციო რუკების ადგილზე ინსტრუმენტული გზით განსაზღვრისას ხდებოდა და არსებული ხარვეზების გასწორება დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინვენტარიზაციის, ადგილობრივი ტოპონიმიკური ხასიათის წყაროების შეგროვების, საზღვრისპირა ზოლის მიწის სავარგულებზე და მდინარეთა ქსელზე მონაცემების დაზუსტების გზით. თუმცა საბოლოო ჯამში, ადგილის არაადეკვატური გეოგრაფიული იდენტიფიკაცია სახელმწიფო საზღვრის არასწორად გატარების პრეცედენტებს ქმნიდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკებს შორის საზღვრის ზოგად, მხოლოდ შეთანხმების დონეზე დაფიქსირების პრაქტიკამ და ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობამ თავი იჩინა საქართველო-სახელმწიფო საზღვრის მრავალ მონაკვეთზე.

საზღვრის ხაზის მიმართულების განსაზღვრისას გაურკვევლობებს ქმნიდა პარალელური გეოგრაფიული სახელწოდებების არსებობაც, წყალგამყოფებისა და რელიეფის უმაღლესი წერტილების არათანხვედრა და სხვა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასწყისში სასაზღვრო კომისიები სადელიმიტაციო რუკების ადგილზე ინსტრუმენტული გზით მონიშვნისას ხშირად არ ითვალისწინებდნენ ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, ყოველთვის არ ხდებოდა მოსახლეობისაგან ადგილობრივი ტოპონიმიკური ხასიათის წყაროების, საზღვრისპირა ზოლის მიწის სავარგულებზე და მდინარეთა ქსელზე მონაცემების შეგროვება. დემარკაციის პროცესში მხარის გეოგრაფიულ შესწავლაში არსებული ხარვეზები ხშირად იჩენდა ხოლმე თავს.

სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია გართულებულია სხვა ასევე მნიშვნელოვანი გარემოებითაც. სხვადასხვა წელს გამოცემულ ტოპოგრაფიულ

რუკებზე სახელმწიფო საზღვრის ერთი და იგივე მონაკვეთი განსხვავებულად არის მოცემული.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები (ბუნებრივი ობიექტების ტიპი და თავისებურებანი) შეიძლება ხელს უწყობენ, ან აფერხებენ სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციებს. ისინი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრის მდგრადობას, ან პირიქით, მის სენსიტიურობას.

3.2. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციები

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასწყისში საქართველოს ტერიტორიულმა დაყოფამ არაერთი ცვლილება განიცადა, რასაც თან ახლდა ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების ტრანსფორმაცია. XIX საუკუნის უდიდეს მონაკვეთზე საკვლევი ობიექტი მოქცეული იყო ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში, მხოლოდ მცირე ნაწილი დროის გარკვეულ პერიოდში ჩერნომორსკის გუბერნიაში შედიოდა [ნახ. 4].

საკვლევი ობიექტის გასწვრივ ქუთაისის გუბერნიის 3 [სოხუმის ოკრუგი, ლეჩხუმისა და ონის მაზრები] ტერიტორიული ერთეული მდებარეობდა. რუსეთის მხრიდან ამ ტერიტორიულ ერთეულებს ესაზღვრებოდა ყუბანის ოლქები, აგრეთვე შავი ზღვის ოკრუგი [საქართველოს ატლასი, 1964]. თანამედროვეობამდე საქართველო-რუსეთის იმდორინდელმა საზღვარმა რიგი ტრანსფორმაცია განიცადა, უმეტესწილად საქართველოსათვის ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე. გამოწვევას იწვევდა მხოლოდ საქართველოს იმდროინდელი საზღვრის ჩრდილო-დასავლური უბანი [მდ. ფსოუს მარცხენა სანაპირო და გაგრის ქედის დასავლური განშტოებების ზოგიერთი მონაკვეთი], რომელიც მაშინ საქართველოს მოსაზღვრე შავი ზღვის ოკრუგში შედიოდა.



ნახ. 4. კავკასია XIX საუკუნის დასაწყისში

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სუვერენული სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთისა და საქართველოს წინაშე, დადგა ყოფილი იმპერიის საზღვრების დარეგულირების საკითხი. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფო საზღვრები განისაზღვრა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველზე, რომელიც არასოდეს არ „მისდევდა“ ეთნიკურ პრინციპს, პირიქით, მრავალერიაობის მიზანს ემსახურებოდა. ეს უმთავრესად იყო ჩაფიქრებული იმპერიული პოლიტიკაში [გაჩეჩილაძე, 2013].

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა [რსფსრ] და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების [7.05.1920] თანახმად რუსეთმა აღიარა „საქართველოს სახელმწიფოს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა" და ნებაყოფლობით თქვა უარი ყველა უფლებებზე, რომელიც მას გეორგიევსკის ტრაქტატის [1783] დარღვევითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით ჰქონდა უზურპირებული.

ხელშეკრულების 3-ე მუხლის თანახმად საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე, მდინარე ფსოუს შესართავთან, მიუყვებოდა მდინარეს მთა ასახჩამდე [ზ.დ. 2315,2 მ], შემდეგ აღწევდა მთა აგეფსთას და აქედან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გას-

დევდა ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთეულების - შავი ზღვის ოკრუგის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს.

აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებამ [4.03.1921] და ამავე წლის მაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემულმა აფხაზეთის სსრ დამოუკიდებლობის დეკლარაციამ დროებით დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს შეუსაბამობა გამოსწორდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკასა და აფხაზეთის სსრ-ს შორის საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლით [13.12.1921].

1924-1929 წლებში რამდენჯერმე მოხდა საზღვრის ცვლილებები რუსეთსა და საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. სსრკ ცაკ-ის გადაწყვეტილებით პილენკოვოს თემი 2-ჯერ გადავიდა [31.10.1924; 31.12.1928] რსფსრ-ს დაქვემდებარებიდან საქართველოს შემადგენლობაში და პირიქით - რსფსრ-ს შემადგენლობაში [19.03, 1926]. 1928 წელს სსსრკ-ის ცაკ-მა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ და შექმნა პარიტეტული კომისია ამ გადაწყვეტილების პრაქტიკაში განსახორციელებლად [31.12.1928]. თუმცა ამ თემის მხოლოდ 4 სოფსაბჭოს (მიქელირიფშის, პილენკოვოს, სალმეს და ქრისტეფორეს) ტერიტორია გადაეცა საქართველოს, ხოლო მეხუთე - აიბგის სოფსაბჭო დარჩა შავიზღვისპირეთის ოკრუგის სოჭის რაიონის შემადგენლობაში. აიბგის სოფსაბჭოს ტერიტორია ნაჩვენებია 1928 წელს გამოცემულ შავი ზღვის ოკრუგის რუკაზე, ხოლო რსფსრ-სა და საქართველოს საზღვრის მდებარეობა.

II მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდგომ ადგილი ჰქონდა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრის მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე რიგი ადმინისტრაციული ერთეულების გაუქმების, ან სტატუსის შეცვლის. ამ ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები გადანაწილდა მეზობელ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც. მაგალითად, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით, გაუქმდა ყარაჩაევის ავტონომიური ოლქი და ამ ოლქის ტერიტორიის ნაწილი გადაეცა საქართველოს: "Передать Учкуланский и часть Микояновского района бывшей Карачаевской автономной

области в состав Грузинской ССР, образовав из указанных районов новый Клухорский район с центром в г. Микоян-Шахаре. Г. Микоян-Шахар переименовать в город Клухори". რუსეთ-საქართველოს საზღვარი კი გადიოდა გაცილებით ჩრდილოეთი, ვიდრე დღეს: "Установить в Клухорском районе следующую границу между РСФСР и Грузинской ССР: с запада - по существующей границе б. Микояновского района, далее на восток - севернее города Клухори и далее по реке Мара, исключая селение Н. Мара, с выходом на границу б. Учкуланского района, южнее селения В. Мара и далее на юг по существующей восточной границе б. Учкуланского района" [Указ Верховного..., 1943].

სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 8 აპრილის დადგენილებით, ყაზარდობალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკა გადაკეთდა ყაზარდოს ავტონომიურ რესპუბლიკად, ხოლო ბალყარელები გადაასახლეს სსრკ-ის სხვა რაიონებში [Указ Верховного..., 1944]. დოკუმენტში აღნიშნულია: "Включить в состав Верхнесванетского района Грузинской ССР юго-западную часть Эльбрусского и Нагорного районов Кабардинской АССР, изменив, в связи с этим, границу между РСФСР и Грузинской ССР на этом участке следующим образом: от перевала Бурун-Таш, что у северных склонов горы Эльбрус, линию границы повести на восток по реке Малка до высоты 2877, далее на юго-восток по реке Ислам-Чай через высоту 3242 у перевала Кыртык-Ауш, на юго-восток по реке Кыртык, западнее поселка Верхний Баксан и на юг по реке Адыр-Су до перевала Местия". სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთიც გაცილებით ჩრდილოეთით გადიოდა, ვიდრე დღეს და მის ფარგლებში შემოდიოდა მდ. ყუბანის ზემო წელი და იალბუზის მასივი მთლიანად (ნახ. 5).

ეს დადგენილება მოქმედებდა 1955 წლამდე. სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 14 მარტის დადგენილებით, ქლუხორის რაიონი საქართველოს შემადგენლობიდან გადაეცა სტავროპოლის მხარეს (რსფსრ) და შესაბამისად მოხდა საზღვრების კორექტირებაც ამ მონაკვეთზე. დადგენილებაში ვკითხულობთ: "Утвердить постановления Президиума Верховного Совета Грузинской ССР и Президиума Верховного Совета РСФСР о передаче Клухорского района из состава Грузинской ССР в состав Ставропольского края РСФСР и в связи с этим внести частичное изменение в существующую границу между РСФСР и Грузинской ССР [Указ Верховного..., 1955]. 1955 წლიდან საზღვრის ამ მონაკვეთმა ფაქტობრივად თანამედროვე სახე მიიღო.



ნახ. 5. საქართველოს სსრ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, 1952 (ფრაგმენტი)

3.3. საზღვრის "ცხელი მონაკვეთები"


საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის საერთო სიგრძის უდიდეს ნაწილზე მკვეთრი ფიზიკურ-გეოგრაფიული ბარიერებით არის წარმოდგენილი. თუმცა მის ცალკეულ მონაკვეთებზე კონაქტური საზღვრებიცაა, რაც ისტორიულად უდიდეს გავლენას ახდენდა მის ცვლილებებზე. ეს თავის მხრივ, ართულებს სასაზღვრო დავების მოგვარებასაც.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის გასწვრივ რამდენიმე "ცხელი მონაკვეთი" შეიძლება დავასახელოთ. ესენია: მდ. ფსოუს მონაკვეთი, აიბგის მონაკვეთი, მამისონის უღელტეხილის მიდამოები.

სოფელ აიბგის მონაკვეთი

სოფელი აიბგა მდ. ფსოუს ზემო წელის აუზში, მის ორივე ნაპირზე მდებარეობს. იგი 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი მდ. ფსოუს მხარეს, საქართველოში (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადღერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს (ნახ. 6; 7). სოფლის ხუთივე უბნის საერთო ფართობი დაახლოებით 15.5 ათასი ჰექტარია [Черемных, 2012]

აიბგის # 1 და # 2 უბნები მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა შენაკადების ვოდოპადისა და მენდელიხის ხეობებს შორის. აიბგის უბანი # 1 (პარალელური სახელები: აიბგა; აიბგა პირველი) მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე, ადლერიდან (რუსეთი) მომავალ საავტომობილო გზის გასწვრივ. ადლერის რაიონის ყველაზე შორეული და ძნელად მისასვლელი ადგილი, ოდითგანვე იყო სოფელ აიბგის



ნახ. 6. სოფელ აიბგის მდებარეობა

ყველაზე დიდი განაშენიანებული დასახლება. ოფიციალური მონაცემებით ამჟამად სოფლის ერთადერთი დასახლებული უბანია. ხელუხლებელი ლანდშაფტების ფართო გავრცელების გამო ტურიზმის განვითარების მაღალი პერსპექტივა აქვს. დაგეგმილია სამთო კურორტის მშენებლობაც. თუმცა უკანასკნელ წლებში არაერთ წყაროშია აღნიშნული ტყის დეგრადაციის ფაქტები. მაგალითად, მსხლის უზარმაზარი და ძლიერ მაღალპროდუქტიული კორომები 1993 წლიდან ინტენსიურად იჭრება. ნადგურდება ძვირფასმერქიანი ჯიშებიც [Охрана дикой..., 1999; Абхазская компания в 2007..., Правительство предоставило..., ინტერნეტმასალები]. სოფელში ცუდი ინფრასტრუქტურაა, ცუდადაა უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით, მწყობრიდანაა გამოსული საავტომობილო გზები. აიბგის უბანი # 2 (აიბგა), მდებარე მდ. ბელაია მიანკასა და მდ. ფსოუს სხვა მცირე მარჯვენა შენაკადების ნაპირებზე, ყველაზე მცირედ განაშენიანებული ტერიტორია იყო ყოველთვის. აიბგის უბანი # 3 (აიბგა; აიბგის ნაკვეთი # 3; აიბგის ნაკვეთის # 3-54) მდებარეობს მდ.

კატარხის, იგივე ბეშის მარცხენა (ფსოუს მარცხენა შენაკადი) ნაპირას. მდინარის მეორე მხარეს კი აიბგის უბანი # 4 (აბგა; აიბგის ნაკვეთი # 4-56) მდებარეობს (ფსოუს მარცხენა შენაკადი), 160 კმ² ფართობზე. აქ არის მიტოვებული შახტა, სადაც ადრე მძიმე ლითონებს მოიპოვებდნენ. 1990-იან წლებში სოფლის ეს უბანი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა, უკანასკნელ წლებში კი სწორედ ეს უბანი გახდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის სადავო. აიბგის უბანი # 5 (აიბგა) ჰიფსომეტრიულად ყველაზე მაღლა მდებარეობს. 1990-იან წლებში აქ, უროჩიშჩე კაზაჩაია პოლიანაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მარმარილოს მოპოვება. 2007 წლიდან აქ განახლდა გაბროს მოპოვება [Абхазская компани..., 2006; Правительство предоставило..., 2006].



ნახ. 7. სოფელ აიბგის მდებარეობა
(1970-80-იანი წლების ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით)

ს. აიბგა საქართველოს შემადგენლობაში, თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მაგრამ 1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთმა ჩვენი ქვეყნის ანექსია მოახდინა, ს. აიბგა სოჭის რაიონის საზღვრებში მოექცა. 1928 წელს სადემარკაციო კომისიის დადგენილებით საზღვარი რსფსრ-სა და საქართველოს შორის მდ. ფსოუზე გატარდა. კომისია მიხელმძღვანელა რუსული ეთნოსის უპირატესობით ძირძველ (აფხაზურ) მოსახლეობასთან შედარებით, უგულვებელყო ისტორიული სამართლიანობის პრინციპი და მდ. ფსოუს ორივე მხარეზე მდებარეს. აიბგა რუსეთის ფედერაციას მიაკუთვნა. დადგენილებაში მითითებული იყო ყოვლად უსაფუძვლო მოსაზრება, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება მოტივირე-

ბული იყო მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული ინტერესებით. ამიტომ საქართველოს ფარგლებში დღეს. აიბგის, უფრო სწორად მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროზე მდებარე ნასოფლარის, მხოლოდ მცირე ნაწილიაა მოქცეული. ნასოფლარში მოხვედრა არა მარტო ფსოუს ხეობით, არამედ ბზიფის ხეობითაცაა შესაძლებელი. შავი ზღვის სანაპიროდან კურორტ ავადჰარისაკენ მიმავალი გზიდან დასავლეთის მიმართულებით გადასახვევი ბილიკია, რომელიც გაგრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილზე გადადის. ტურისტული თვალსაზრისით ეს მეტად საინტერესო მარშრუტია – ფერდობებზე შეფენილი ტყეებით, სუბალპური და ალპური მდელოებით, ძველი (მეოთხეული) გამყინვარების ნაშთებით. ყოველივე ეს მეტად თვალწარმტაც იერს აძლევს აქაურ ბუნებას [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013].

აიბგას მონაკვეთი სახელმწიფო საზღვრის არამართებულად გატარების კლასიკური მაგალითია, ვინაიდან იგი ორად გაიყო, მდინარის მარჯვენა სანაპირო მოექცა რუსეთის, ხოლო მარცხენა სანაპირო - საქართველოს ფარგლებში.

1992 წელს რუსეთის ჯარებმა რუსეთის „კუთვნილი“ აიბგის ნაწილი „აფხაზეთს დაუთმეს“, მოგვიანებით კი რუსეთმა 160 კმ² ფართობის დათმობა მოითხოვა. ამ მიზნით შეიქმნა სამთავრობოთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა ამ საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის საკითხების გადაჭრა [რუსეთის ხელისუფლება..., 2011], თუმცა დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი რუსეთისა და თვითადიარებული აფხაზეთის სადავო ტერიტორიად დღემდე რჩება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის "აიბგის მონაკვეთი" ერთ-ერთი ურთულესი გადასაჭრელი საკითხია, რაც დაკავშირებულია მრავალ გარემოებასთან, კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში მისი ტერიტორიული მიკუთვნებულობის ხშირ ცვლასთან, აგრეთვე საბჭოთა პერიოდში არასამართლებრივად გატარებულ ადმინისტრაციულ საზღვრებთან, სხვადასხვა წყაროებში არსებული ინფორმაციის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებთან, არადელიმიტირებული და არადემარკირებული საზღვრის არსებობასთან, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მის მდებარეობასთან და სხვ. ამ თვალსაზრისით ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამაპირობებელ ფაქტორად კარტოგრაფიული წყაროებიც გვევლინება. მათ

შორის შეიძლება დასახელდეს, აგრეთვე უზუსტობები და რეალობის არაადეკვატური ასახვა კარტოგრაფიულ წყაროებში [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2014].

მამისონის უღელტეხილის მონაკვეთი. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის (მალრან-დვალეთის კავკასიონის) ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, მდინარეების ჭანჭახისა (რიონის მარცხენა შენაკადი) და არდონის (თერგის მარცხენა შენაკადი), ზ.დ. 2819 მ სიმაღლეზე. აქ გადის 273 კმ სიგრძის ე.წ. "ოსეთის სამხედრო გზა", რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქ. ქუთაისსა და დარგოხს (ალანია). აქ გადის საავტომობილო გზა, რომელიც მხოლოდ სეზონურად ასრულებდა სამიმოს-ვლო ფუნქციას. მთელი წლის მანძილზე მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ დარგოხიდან ბურონამდე და შოვიდან ქუთაისამდე. საბჭოთა პერიოდში აქ გადიოდა საექსკურსიო-ტურისტული მარშრუტი. ამჟამად ეს ფუნქცია მთლიანად აქვს დაკარგული. უღელტეხილის მიდამოები შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით.

2009 წლამდე უღელტეხილს აკონტროლებდა საქართველო, ამჟამად კი - რუსეთი. სასაზღვრო საგუშაგომ უკან დაიწია მდ. ჭანჭახის ხეობაში და უღელტეხილის მიდამოებსა და ყოფილ მეტეოროლოგიურ სადგურს ამჟამად მთლიანად რუსეთის მხარე აკონტროლებს.

ისტორიულად ეს ტერიტორია ყოველთვის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. უფრო მეტიც, კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობი - მდ. არდონის ზემო წელიც, სადაც საქართველოს ერთ-ერთი კუთხე დვალეთი მდებარეობდა, ძვ.წ. IV-II საუკუნეებიდან, იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან, საქართველოს შემადგენლობაში იყო. XVI საუკუნეში ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც კი იგი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ დღეს იგი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიული კუთხეა მხოლოდ. გეოგრაფიული მდებარეობისა და რელიეფური პირობების გამო დვალეთი, ანუ „არდონის ქვაბა-ხეობა“, როგორც მას უწოდებდა ივანე ჯავახიშვილი, სამიმოსვლო გზებით უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ვიდრე მისგან ჩრდილოეთ მდებარე ტერიტორიებთან. ამ ტერიტორიებს დვალეთი ფაქტობრივად მხოლოდ ერთი გასასვლელით - არდონის ხეობით უკავშირდებოდა.

აი, რას წერდა ივანე ჯავახიშვილი: „ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალროცხოვან გზებით, სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შე და-რებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთიანებს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვა-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს...“ [ჯავახიშვილი, 1919]. არდონის ხეობიდან გადმოსახლებულა ამ მხარის ქართული მოსახლეობა - დვალეები, რომლებიც თავდაპირველი „ადგილ-მამულის“ წარსულს მხოლოდ გვარების - დვალის, დვალაშვილის, დვალიშვილის სახით ინარჩუნებენ. ისინი ქართლში, რაჭაში, იმერეთსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ.

საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთის გადმოლახვის სიადვილეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა და თემურ-ლენგის შემოსევებით შევიწროებულმა ჩრდილოეთკავკასიელმა ოსურმა მოსახლეობამ იოლად გადმოლახა კავკასიონის ქედი და დვალეთის ქედის სამ-ხრეთ კალთებზე გაიჩინა პირველი საცხოვრისი. XVI საუკუნეში ჩნდება პირველი ოსური ახალშენები დიდი ლიახვის სათა-ვეებში, კიდევ უფრო მოგვიანებით კი - პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში, XVIII - XX საუკუნეების მიჯნაზე კი ოსური დასახლებები საქართველოს ბარშიც ჩნდება.

XIX საუკუნის რუსი სამხედრო ტოპოგრაფებისა და ევროპელი კარტოგრაფების მიერ შედგენილი რუკების ანალიზით დგინდება, რომ საზღვარი ამ მონაკვეთზე კავკასიონის მთავარ ქედზე გადის, თუმცა ზოგიერთ რუკაზე გვაქვს განსხვავებული ვითარებაც. მაგრამ ყველა შემთხვევაში მამისონის უღელტეხილი საქართველოს შემადგენლობაშია (ნახ. 8; 9).



ნახ. 8. ფრანგულენოვანი რუკის ფრაგმენტი, 1823




ნახ. 9. ინგლისურენოვანი რუკის ფრაგმენტი, 1883

3.4. საზღვრის პერიმეტრის სენსიტიურობის შეფასება

საქართველო-რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სივრცე მის უმეტეს ნაწილზე, ბარიერული უბნების სიუხვის (მაღალი ქედების, კლდოვანი მასივების, მყინვარების) გამო, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზღუდავდა უცხოელთა ინტერვენციას ქვეყნის ტერიტორიაზე. ქვეყნის დანარჩენი საზღვრები კი შედარებით ადვილი დასაძლევია და სენსიტიურია. სწორედ ამიტომ ისტორიულად ყველაზე მეტად იცვლებოდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ჩრდილოეთის საზღვრები (სვანეთისა და რაჭის კავკასიონის მაღალმთიანი ზოლი).

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ოროგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ზედაპირის დახრილობა, აბსოლუტური სიმაღლე, ზედაპირის დანაწევრების სიხშირე. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ზედაპირის დახრილობა შეიძლება ჩაითვალოს. რთული ოროგრაფიული პირობების გამო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაქის პერიმეტრი ძალზე განსხვავებულია ზედაპირის დახრილობის მიხედვით (ნახ. 10).




ნახ. 10. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის ზედაპირის დახრილობა

აქ საკმაოდ დიდ მანძილზეა გადაჭიმული კლდეები და ციცაბო ფერდობები (35°-ზე მეტი დახრილობით). დამრეცი და სუსტად დახრილი ფერდობები უმთავრესად დასავლეთ ნაწილზე, მდ. ფსოუს ქვემო წელზე მოდის. მნიშვნელოვანი ბარიერების არარსებობის გამო სწორედ აქ მდებარეობს საქართველოს საზღვრების ყველაზე ადვილად გადასასვლელი, ანუ სენსიტიური მონაკვეთები. საზღვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ისტორიულად სწორედ ასეთ მონაკვეთებზე მოდის.


სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციაზე, აგრეთვე გავლენას ახდენს აბსოლუტური სიმაღლე. მაღალმთიანი რელიეფი, განსაკუთრებით კი, ზ.დ.3,000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიები გამორჩეულად რთულ პირობებს ქმნის საზღვრის გადაკვეთის მსურველებისათვის. არც ზ.დ. 2,000-3,000 მ-ის დიაპაზონი შეიძლება ჩაითვალოს ხელსაყრელად, ხოლო ზ.დ. 500 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიები პირიქით. შესაბამისად კონტაქტურობის 5 კატეგორიის მიხედვით შეფასდა სახელმწიფო საზღვრის საკვლევი პერიმეტრი. გამოთვლების შედეგად დადგინდა,

რომ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძის უდიდესი ნაწილი მოდის ზ.დ. 2,000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე (ნახ. 11; 12; 13).



ნახ. 11. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის პროფილი

ზედაპირის დანაწევრების ხარისხი განისაზღვრება იზოჰიფსების სიგრძის შეფარდებით გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულთან. ჩვენს შემთხვევაში ტერიტორიულ ერთეულად მიჩნეულ იქნა საზღვრის გასწვრივ გადაჭიმული 5 კმ-იანი ზონა. როგორც ჩვენი კანონმდებლობა განსაზღვრავს, სასაზღვრო ზონა აითვლება სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი, არა უმეტეს 5 კმ-ზე. აქ ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, რელიეფის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე სასაზღვრო ზონა შეიძლება განისაზღვროს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 30 კილომეტრით (27.12.2006 N 4140).




ნახ. 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სვანეთის მონაკვეთის პროფილი

დანაწევრების სიხშირე განისაზღვრა 5 კატეგორიის მიხედვით [Nikolaishvili, Tolordava, 2013]: სუსტად დანაწევრებული ($<50\text{კმ}^2/\text{კმ}^2$), საშუალოდ დანაწევრებული ($50\text{-}100\text{კმ}^2/\text{კმ}^2$), საგრძნობლად დანაწევრებული ($100\text{-}500\text{კმ}^2/\text{კმ}^2$), ძლიერ დანაწევრებული ($500\text{-}1,000\text{კმ}^2/\text{კმ}^2$) და მეტად ძლიერ დანაწევრებული ($>1,000\text{კმ}^2/\text{კმ}^2$). ზედაპირის დანაწევრების სიხშირის მიხედვით საკმაოდ დიდი განსხვავებაა საზღვრის გასწვრივ. ცხადია, ეს მაჩვენებელი დაბალია ვაკისა და მთისწინეთის, ხოლო მაღალი მთის რელიეფის ფარგლებში. მაგრამ სიტუაცია ყოველთვის ასე მარტივი როდია. საზღვრის გასწვრივ, მცირე მონაკვეთზე (მდ. ფსოუს ხეობა) გვხვდება საკმაოდ რთული რელიეფის და ძლიერ დანაწევრებული ზედაპირები გორაკ-ბორცვების სახით, სადაც ზედაპირის დანაწევრების ხარისხი შეიძლება $200\text{-}500\text{ კმ}^2/\text{კმ}^2$ -ია, რაც მათ შედარებით დაბალ სენსიტიურობაზე მიგვანიშნებს. ლოგიკურია, რომ ზედაპირის დანაწევრების მეტად მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება კავკასიონის გასწვრივ მწვერვალებს აგეფსთასა და ჭანჭახს შორის.

ჰიდროგრაფიული ობიექტები, ერთის მხრივ, კონტაქტურ, ხოლო მეორეს მხრივ, ბარიერულ საზღვრადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი გავლენას ახდენდა უცხოელთა ინტერვენციების სიიოლე/სირთულეზე, აგრეთვე საზღვრების დელიმიტაციისას სასაზღვრო კონტურის გავლენაზე. ცხადია, საზღვრის პერიმეტრზე მისი სენსიტიურობა განისაზღვრება ამ ობიექტების მეტრული

მაჩვენებლებით (სიგანე, სიღრმე, წყლიანობა და ა.შ.). ამასთან, ცხადია, რომ ჰიდროლოგიური ობიექტების მიხედვით, განსხვავებით ოროგრაფიულისა, ფასდება საზღვრის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთები.



ნახ. 13. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რაჭის მონაკვეთის პროფილი

საკვლევი ობიექტის გაწვრივ მხოლოდ 1 მდინარეა. მის წილად მოდის საკვლევი ობიექტის საერთო სიგრძის 11 %. ზოგადად, დიდი, თუ პატარა მდინარეები, როგორც გეოგრაფიული ფაქტორი, საზღვრის გამყოფის ფუნქციას ასრულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მდინარის მეტრული მაჩვენებლებიდან საზღვრის სენსიტიურობაზე გავლენას ახდენს კალაპოტის სიგანე, წყლის სიღრმე, სიჩქარე და ხარჯი. სწორედ ამიტომ მდ. ფსოუ ზუსტად ამ პარამეტრების მიხედვით უნდა შეფასდეს. მდინარის ზედა ნაწილი მთის, ხოლო ნაწილი ვაკის მდინარეა.

წყლის ხარჯითა და სიღრმით შეიძლება შეფასდეს რამდენად სენსიტიურია საზღვრის ესა თუ ის მონაკვეთი. თუმცა მისი ცალსახა შეფასება არამიზანშეწონილია და აუცილებელია ადგილის სპეციფიკისა და ისტორიული განვითარების ტენდენციების გათვალისწინება. საზღვრის სენსიტიურობის განსაზღვრისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია წყლის ნაკადის სიჩქარე. მდ. ფსოუს საშუალო სიჩქარე მცირეა (0.7-2.0 მ/წმ), სიღრმე კი - 0.6-2.1 მ. მდ. ფსოუს სხვადასხვა მონაკვეთი სხვადასხვა ხარჯით ხასიათდება, რაც იცვლება 12.7-19.8 მ³/წმ-ის ფარგლებში

[Ресурсы поверхностных..., 1974]. მდინარის ზემო წელი, სადაც მდინარის ხარჯი შედარებით მცირეა ($12.7-14.9 \text{ მ}^3/\text{წმ}$), თუმცა ზედაპირის დიდი დახრილობისა და კლდეების გამო, სწრაფი ნაკადის გამო, ძნელად გადასალახავ მონაკვეთად უნდა მივიჩნიოთ. ხიფსთას შეერთების შემდეგ კი მდინარის ხარჯი ($18.0-19.8 \text{ მ}^3/\text{წმ}$) და სიღრმე ($18.8-2.1 \text{ მ}$) იზრდება. შესაბამისად საზღვრის ეს მონაკვეთები ძლიერ სენსიტიურ და სენსიტიურ საზღვრებად შეიძლება მივიჩნიოთ ამ თვალსაზრისით.

მყინვარები საკვლევ ობიექტზე სამივე მხარის ფარგლებში გვხვდება და მათი საერთო რაოდენობა რამდენიმე ასეულია. მყინვარების ძირითადი კერები (თითქმის უწყვეტი ზოლი სახით) თავმოყრილია საზღვრის გასწვრივ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდ. ბზიფის სათავეებიდან მამისონის უღელტეხილამდე. ამ უბნის დასავლეთითა და აღმოსავლეთით მყინვართა მხოლოდ ცალკეული ჯგუფები გვხვდება. გამყინვარების ფართობით განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარეების ენგურის, რიონისა და კოდორის აუზები. სწორედ აქ არის თავმოყრილი ქვეყანაში აღრიცხული მყინვარების დაახლოებით 80% [Гобеджишвили, 1989]. შედარებით მცირე ზომის მყინვარები გვხვდება მდინარეების: ბზიფის აუზში, სადაც საზღვრის უდიდესი მონაკვეთები მოდის სუბნივალურ ლანდაფტებზე. მყინვარების არსებობა საზღვრის გადაკვეთის სირთულეზე მიგვანიშნებს. თუმცა ცალკეულ მონაკვეთებზე დამრეცი ზედაპირები და უნაგირები ამ სირთულეს შედარებით აიოლებს. თუმცა მყინვარების უმეტესობა (საზღვრისპირა პერიმეტრის 91 %-ზე მეტ მანძილზე) მეტად რთული გადასალახია ნაპრალების, კლდეებისა და ციცაბო ფერდობების გამო.

სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ კი ტყეები ძლიერ მცირე მანძილზეა გადაჭიმული. იგი მხოლოდ მდ. ფსოუს შუა და ზემო წელშია წარმოდგენილი წიფლნარი და წიფლნარ-წაბლნარი ტყეების სახით. უმეტეს შემთხვევაში, ეს ტყეები გადალახვის არანაირ სირთულეს არ ქმნის, თუ არ მდებარეობს რთულ ოროგრაფიულ პირობებში. სასაზღვრო ხაზის უფრო დიდი წილი ბალახოვნებზე მოდის. მათგან უდიდესი სიგრძე - მაღალი მთის სუბალპურ და ალპურ მდელოებზე მოდის.

მეტად მნიშვნელოვანია განსახლების გეოგრაფიაც, რაშიც იგულისხმება დასახლებული პუნქტების განაწილება საზღვრის ე.წ. "სენსიტიურ" ადგილებში და მისი სტრუქტურული შემადგენლობა. მაგალითად, სასაზღვრო ზოლში ტიტულარული ეროვნებების განსახლება გამმიჯნავი ხაზის მდგრადობის ხელშემწყობ ფაქტორ-

რად გვევლინება და პირიქით, ამ ზოლის დაკავება მეზობელი ქვეყნის ძირითადი ერის, ან უმცირესობების მიერ ყოველთვის შეიცავს საზღვრის არამდგრადი უბნების წარმოშობის საშიშროებას. საყურადღებოა ასევე მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობაც - გამმიჯნავ ზოლში ახალგაზრდების სიჭარბე მისი სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტად გვევლინება.

საზღვრის სენსიტიურობის შეფასება შესაძლებელია დროით ჭრილშიც განვიხილოთ. იგი შეიძლება შემცირდეს მრავალწლიან ჭრილში და სეზონურადაც. მრავალწლიან დინამიკაში, ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, საზღვრის გადალახვის სირთულე ზოგადად უფრო შემცირებულია, თუმცა არა ყველანაირ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში. გაცილებით უფრო საინტერესოა საზღვრის სენსიტიურობის ცვლილება წლის მანძილზე, სეზონურად, რასაც "სეზონური სენსიტიურობა" შეიძლება ვუწოდოთ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა საზღვრის-პირა ლანდშაფტების ჰიდროკლიმატურ მახასიათებელთა შეფასება გადაადგილების სირთულის მიხედვით. ამ მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მდგრადი თოვლის საფარის ხანგრძლივობა და სიმაღლე.

გამოთვლებმა აჩვენა, რომ საკვლევი ობიექტის საზღვრის უდიდესი ნაწილი მოდის მაღალმთიანეთზე. პირველობს სუბნივალური, ნივალური და ალპური ლანდშაფტები. ზ.დ. 3000მ-ზე უფრო მაღლა, სუბნივალურ ლანდშაფტებში თოვლი მოდის არა მარტო წლის ცივ პერიოდში, არამედ ზაფხულშიც. თოვლის მოსვლას აქ ხშირად "თავსხმა" ხასიათი აქვს და მისმა სიმძლავრემ შეიძლება დღე-ღამის განმავლობაში 100-120 სმ-ით მოიმატოს. ასეთი პროცესები მიმდინარეობს საზღვრის გასწვრივ, საკმაოდ დიდ მანძილზე.


საზღვრისპირა უღელტეხილების უმეტესობა ზ.დ. 2,600 მ-ზე მაღლა მდებარეობს და შემოსილია ალპური და ნაწილობრივ სუბალპური მდელოებით. ალპური ლანდშაფტები იკავებს ზ.დ. 2,200-2,700 მ სიმაღლით დიაპაზონს, სადაც გაბატონებულია ციცაბო ფერდობები და კლდეები, ხასიათდება პალეოგლაციალური და ეროზიულ-დენუდაციური რელიეფით. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები ცირკების, კარების, ტროგების, მორენების სახით. მდგრადი თოვლის საფარი წარმოიქმნება სექტემბერ-ოქტომბრიდან ივნისამდე, როცა იგი მთლიანად გაუვალი ხდება. სუბალპური ლანდშაფტები გავრცელებულია ზ.დ. 1,800 (2,000)-2,200 (2,400) მ

სიმაღლით დიაპაზონში და სადაც უმთავრესად გაბატონებულია ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობები, შვეული კლდეები. საზღვრის გადალახვის სირთულე ამ მონაკვეთებზე დაახლოებით იგივეა, თუმცა შედარებით მცირე პერიოდით. უღელტეხილების გადალახვა შესაძლებელია თოვლისაგან თავისუფალ პერიოდში, მაის-ივნისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ 4-6 თვის მანძილზე საზღვრის ეს მონაკვეთები სენსიტიურ უბნებად ყალიბდება. მაღალი მთის სუბნივალურ ლანდშაფტებში, შედარებით ხანმოკლეა სეზონური სენსიტიურობა საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების გასწვრივ. თუ მაღალი მთის ლანდშაფტებში მდგრადი თოვლის საფარი მაისის შუა რიცხვებამდე ნარჩუნდება, აქ მისი ხანგრძლივობა 1 თვით მცირდება.

საერთო ჯამში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ განისაზღვრა ფიზიკურ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მდებარეობა, მოსაზღვრე ადმინისტრაციული ერთეული, აბსოლუტური სიმაღლე (მ), ზედაპირის დახრილობა, გეოგრაფიული ობიექტის ტიპი (მთა, მდინარე, წყალსატევი და ა.შ.), მცენარეული საფარის ტიპი. სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე თითოეული ეს წერტილი შეფასდა სენსიტიურობის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, ზედაპირის დახრილობის სენსიტიურობა შეფასდა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: ძლიერ სენსიტიურად ჩაითვალა 20° -მდე, სენსიტიურად - $20-30^{\circ}$, საშუალო სენსიტიურად - $30-45^{\circ}$, მდგრადად - $45-60^{\circ}$, ხოლო ძლიერ მდგრადად - 60° -ზე მეტი დახრილობის მქონე ადგილები. 5-ბალიან სისტემაზე დაყრდნობით თითოეულ ამ კატეგორიას მიენიჭა გარკვეული ბალი. ასე შეფასდა საზღვრის გასწვრივ მდებარე 2 მმ-იანი ბიჯის თითოეული წერტილის სენსიტიურობა აბსოლუტური სიმაღლის, მდინარის ნაკადის სიჩქარის, წყლის ხარჯის, კალაპოტის სიგანის, მცენარეული საფარის სიხშირისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. ბალების შეჯამებით შეფასდა სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიმეტრის სენსიტიურობის ხარისხი.

ბალების უბრალო შეჯამება, ამ შემთხვევაში, ვერ გამოხატავს სენსიტიურობის ხარისხის რეალურ სურათს, ვინაიდან შესაძლებელია ერთი წერტილის ერთი მაჩვენებლის მაღალი ბალი (რომელიც საზღვარს შეიძლება ანიჭებს ძლიერ არასენსიტიურობას) უფრო დაბალი იყოს, ვიდრე მეორე წერტილის მრავალი მაჩვენებლის დაბალი ბალების საერთო ჯამი. ამიტომ უფრო რეპრეზენტულად ჩაითვალა

ისეთი მათემატიკური ხერხის გამოყენება, რომელიც ჯამური მაჩვენებლის გარდა, წარმოაჩენდა თითოეული კრიტერიუმის წილს ამ საერთო მაჩვენებელში.



დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთი მეტად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზღვრების ისტორიულ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, აქ არსებობს საზღვრის სენსიტიური და ნაკლებად სენსიტიური უბნები.

საზღვრის ის მონაკვეთები, რომლებიც ხშირ ცვლილებებს განიცდიდა, ეს ცვლილებები მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორისაა:

- საზღვრის პერიმეტრი არ არის დელიმიტირებული და დემარკირებული;
- ისტორიული ტრანსფორმაციების მაღალი სიხშირე;
- არასამართლებრივი გატარებული ადმინისტრაციული საზღვარი (მოკავშირე რესპუბლიკებს შორის);
- სხვადასხვა წყაროებში არსებული ინფორმაციის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები;
- არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობა;
- პოლიტიკური ნება;
- და სხვ.

კვლევის შედეგად დადგინდა:

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთ-რაჭის მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციების განსხვავებული სიხშირე და მისი გამომწვევი ძირითადი ფაქტორები;
- გამოვლინდა საზღვრის ამ პერიმეტრის ყველაზე "ცხელი მნაკვეთები" და გაანალიზდა მათი გამაპირობებელი ფაქტორები;
- დადგინდა ძველ კარტოგრაფიულ წყაროებსა და სამთავრობო დადგენილებებს შორის შეუსაბამობა, რაც უკავშირდება საზღვრის ზოგიერთი პერიმეტრის არასწორ ინტერპრეტაციას;
- სოფელი აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის არამართებული ასახვის ფაქტები XX საუკუნის საბჭოთა სამეცნიერო და სტატისტიკურ წყაროებში, სადაც აღნიშნული სოფელი ყოფილადაა დასახელებული, ან საერთოდ არ არის

აღრიცხული. სინამდვილეში სოფლის ხუთივე უბანი, მათ შორის საქართველოს მხარეს მდებარეც, 1864-1990-იანი წლების პერიოდში უწყვეტად უნდა ყოფილიყო დასახლებული;

ამრიგად, ძველი კარტოგრაფიული (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის) წყაროების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რუკების ნაწილი სამთავრობო დადგენილებების უგულებელყოფით სრულდებოდა. ამასთან საზღვრის ეს მონაკვეთი დელიმიტაციისას გამოყენებული არასწორი მიდგომისა და გეოგრაფიული ფაქტორის უგულებელყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, რამაც ქვეყანას არაერთხელ შეუქმნა გარკვეული "დაძაბულობა" მეზობელ ქვეყანასთან. სწორედ ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხის კომპლექსური კვლევა.

სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული დავების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სადავო ტერიტორიაზე სახელმწიფოს უფლებრივი ტიტულის დასაბუთებისას შეუძლიათ და უნდა გამოიყენონ "ძველი" სამართლის ნორმებიც. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ბუნებრივია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარის გავლასთან დაკავშირებული უთანხმოებების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის იურიდიულად დასაბუთებული შემოთავაზება საშუალებას მოგვცემს მივმართოთ საზღვრის დადგენას საბჭოთა პერიოდში მოცემულ უბანზე, რადგან ამ პერიოდში, ხდებოდა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები.

ლიტერატურა

1. აბაშიშვილი ე. სამხრეთ საქართველოს საზღვრების საკითხი, 1878-1921 წწ. რედ.: დ. ბერძენიშვილი. თბ.: მეცნიერება, 1998. 48გვ.
2. აფხაზეთის ისტორიული ძეგლები.
<http://beradze7blog.wordpress.com/2013/08/14/67>.
3. გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირიატდი მომენტები. თბილისის: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013. 826 გვ.
4. გურული ვ. საქართველო და გარე სამყარო (XIX-XXI საუკუნეები). დამხმარე მასალა სემინარული მუშაობისათვის სასწავლო დისციპლინაში. „საქართველო და გარე სამყარო“. თბილისი, 2012.
5. გურული ვ. საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921). რედ. ს. ვარდოსანიძე. თბილისი: "უნივერსალი", 2013. 40 გვ.
6. გურული ვ., ჯიქია ლ. ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში. დოკუმენტები და მასალები (1944-1951). თბილისი : "უნივერსალი", 2012.
7. ვაშაყმაძე ნ. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში, 1917-1921 წ.წ. რედ.: ვახტანგ გურული. ქუთაისი, 2002. - 160 გვ.
8. თოლორდავა რ. შ. გამადნების ზოლში სახელმწიფო საზღვრის დაკვალვის საკითხებისათვის, თსუ, თბილისი, 2001 გვ.
9. თოლორდავა რ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციის კარტოგრაფიული შესწავლილობა. კარტოგრაფია და თანამედროვეობა. გამ. „უნივერსალი“ თბ., 2005.
10. თოლორდავა რ. შ. სახელმწიფო საზღვრის დადგენის მეთოდოლოგიური ასპექტები (საქართველოს მაგალითზე). მეცნიერება და ტექნიკა, #4-6, თბილისი, 2000. გვ. 20-22.
11. თოლორდავა რ. შ. სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის მეთოდების საკითხებისათვის. მოხსენებათა თეზისები. თსუ VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1998, გვ. 45-46.

12. თოლორდავა რ. სახელმწიფო საზღვრების მოწყობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული საკითხები (საქართველოს მაგალითზე). დისერტაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2002.
13. თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. ჟ.: „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 4-6. თბილისი, 2012. გვ. 3-15.
14. ინგოროყვა ვ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. კონსტანტინეპოლი, 1918. <http://www.amsi.ge/istoria/pi/sazRvreb.html>.
15. კეკელია ჯ.ი. საქართველოს საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით. ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი, გამ. თსუ, თბილისი, 1997. გვ. 197-207.
16. კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბილისი, 1996. 126 გვ.; II გამოცემა, 2006. 117 გვ.
17. კვერენჩილაძე რ. საქართველოს საზღვრები (საფრანგეთის ემიგრაციაში დასატამბული მასალების მიხედვით). თბილისი, 1991. 10 გვ.
18. მანველიშვილი ალ. საქართველოს საზღვრები. პარიზი: "მომავალი", 1938. 61 გვ.
19. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1964.
20. მაცაბერიძე მ. ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის აპრილში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ. თბ, 2014. 13 გვ.
21. მესტიის რაიონის ისტორიული ძეგლები.
<http://saunje.ge/index.php?id=307&lang=ru>.
22. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. საქართველოს საზღვრების კარტომეტრიული ანალიზი. კრ.: „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“. კონფერენციის მასალები. თბილისი: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, 19.XI.2012.
23. ნიკოლაიშვილი დ., ახალაია მ. საქართველოს საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. დამხმარე საკითხავი საქართველოს გეოგრაფიაში 8-9 კლასის მოსწავლეთათვის. თბილისი, 1999. 16 გვ.
24. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული შეფასება. შრომათა კრებული, ახალი სერის, # 5 (84). საერთაშორისო კონფერენციის მასალები "გეოგრაფიის

თანამედროვე პრობლემები", მიმღვნილი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი (7-9.XI.2013). თბილისი, 2013. გვ. 260-266.

25. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., დემეტრაშვილი ო. საქართველოს საზღვრები. თბილისი, 2009. 132 გვ.

26. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელ აიბგის მიკუთვნებულობის გეოგრაფიულ-კარტიომეტრიული შეფასება. შრომათა კრებული, ახალი სერის, # 5 (84). საერთაშორისო კონფერენციის მასალები "გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები", მიმღვნილი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი (7-9.XI.2013). თბილისი, 2013. გვ. 260-266.

27. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიმღვნილის საზოგადოებრივი გეოგრაფიის 90 წლის იუბილესადმი. თბილისი: თსუ, 2014 (იბეჭდება).

28. ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. საქართველოს ისტორიის საგანძური. წიგნი I. თბილისი: საქართველოს თეატრულ მოღვაწეთა კავშირის, 1989. 115 გვ.

29. სამხარაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწმომ. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პროგრამა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტი "სადოქტორო პროგრამების განვითარება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გრანტის კოდი E0476. სექტემბერი, 2012.

30. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ. 1998 წლის 17 ივლისი.

31. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივი რეჟიმი. პროგრამა (იურიდ. ფაკ. სტუდ.). თსუ. შემდგ.: ზურაბ ამილახვარი ; რედ.: ვალერი ლორია, ვახტანგ ქარუმიძე. თბილისი: თსუ, 2003. 16 გვ.

32. საქართველოს სსრ ატლასი. თბილისი-მოსკოვი, 1964.

33. საღირაშვილი დ. ??? გაზ. "საქართველოს დამოუკიდებლობა", ???.

34. შარაძე გ. ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით. თბილისი, 1992.

35. ზვედელიძე მ. სასაზღვრო უწყების მიერ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებსა და დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები, გამ. "განათლება". თბილისი, 1999.

36. ზვედელიძე მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1920-1996 წწ.). თბილისი: "განათლება", 1999.

37. ზვედელიძე მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე). (1920-1996 წწ.). თბილისი: "განათლება", 2000.

38. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ბათუმი–კონსტანტინეპოლი, 1919. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII. გვ. 459-513.

39. Nikolaishvili Dali A., Tolordava Revaz Sh. Geographical Factor as a Basis for Research of State Borders (on the Example of Georgia). Journal of Earth Science and Engineering 3. 2013. pp. 159-167.

40. Nikolaishvili D., Tolordava R. Determining Geographical Factors of Historic Transformation of the State Border of Georgia. International Scientific conference "Space, Society, Politics", dedicated to 70th birthday anniversary of Professor Revaz Gachechiladze. Abstract. 3-5 June, 2013, Tbilisi. pp. 58-59.

41. Абхазская компания в 2007 году начнет добычу стройматериалов на Псоу. 2006. <http://abhazia.com/news1-6878.html>.

42. Гобеджишвили Р.Г. Ледники Грузии. Тбилиси: "Мецниереба", 1989.

43. Охрана дикой природы на Западном Кавказе. Аибгинское дело. <http://hghltd.yandex.net/yandbtm?text>.

44. Правительство предоставило "Абхазской горнопромышленной компании" право на разработку месторождения габбро. 2006.

45. Ресурсы поверхностных вод Закавказья и Дагестан. Л.: Гидрометеиздат, 1974.

46. Топогра-фические карты.

47. Указ Президиума Верховного Совета СССР от 12 октября 1943 года О ликвидации Карачаевской автономной области и об административном устройстве ее территории.

48. Указ Президиума Верховного Совета СССР от 8 апреля 1944 года О переселении балкарцев, проживающих в Кабардино-Балкарской АССР, и о переименовании Кабардино-Балкарской АССР в Кабардинскую АССР.

49. Указ Президиума Верховного Совета СССР от 14 марта 1955 года О передаче Клухорского района Грузинской ССР в состав РСФСР.

50. Черемных А. Забытые в Аибге. 3.09.2012. <http://alexsrb.livejournal.com/57207.html>

დანართი 1 - საზღვრისპირა გეოგრაფიული ობიექტები

აგეფსთა, აღეფსთა, იალიფსთა - მთა აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, გაგრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში (უმაღლესი მწვერვალი), აფხაზეთისა (გაგრის საქალაქო საკრებულო) და კრასნოდარის მხარის საზღვარზე, ზ.დ. 3,257 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები. თანამედროვე გამყინვარება მცირეა და ისიც უმთავრესად ჩრდილოეთ კალთაზე. ფერდობების ქვედა ნაწილი შემოსილია წიფლისა და სოხის ტყეებით, ხოლო ზედა ნაწილი - სუბალპური და ალპური მდელოებით. მთა აგეფსიდან აღმოსავლეთის მიმართულებით საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გასდევს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს.

აიბგა - ადლერის რაიონი, ნიჟნეშილოვკის საკრებულო. მდებარეობს 840 მეტრზე ზღვის დონიდან. სოფელი 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი # 3, 4 და 5) მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს, საქართველოში (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი (# 1 და 2) მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადლერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს.

ალურაფსთა - სოხუმის მუნიციპალიტეტი (ფსხუს თემი), მდინარე ბავიუს (ბზიფის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 870 მ, სოხუმიდან 60 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ბაიდაევო - ყაბარდო ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 29 კმ-ით, იალბუზის მისადგომებიდან აღმოსავლეთით 15 კმ. სოფელი დააარსა 1957 წელს დეპორტაციიდან დაბრუნებულ ყაბარდოელმა ბაიდაევების ოჯახმა. სოციალური ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული, ეკონომიკური აქტიურობის ძირითადი საშუალება არის ტურიზმი.

ბეჩოს უღელტეხილი, იუსენგი - უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ზ.დ. 3,375 მ სიმაღლეზე. ბილიკით აკავშირებს მდინარეების დოღრასა (ენგურის მარჯვენა შენაკადი) და იუსენგის (ბაქსანის აუზი, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე) ხეობებს, ზემო სვანეთსა (მესტიის რაიონი) და ყაბარდო-ბალყარეთს. სვანეთის კავკასიონის სხვა უღელტეხილებთან შედარებით იგი

ადვილად დასაძლევია, ამიტომ ისტორიულად დიდ როლს ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობაში. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან “ზეჩ”, რაც ნიშნავს “ქვას”, “ქვიან ადგილს”.

გისტოლა - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდინარეების წანერისა (ენგურის აუზი) და ბეზენგის ჩერეკის (თერგის აუზი) წყალგამყოფზე, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 4,860 მ სიმაღლეზე. შემოსილია თოვლ-ყინულიანი საფარით.

გურბიევცკი - უღელტეხილი რაზა-ლექსუმის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემზე, ზ.დ. 3,325 მ სიმაღლეზე. აკავშირებს მდინარეების ნოწარულისა (რიონის მარცხენა შენაკადი) და ურუხის (თერგის მარცხენა შენაკადი) ხეობებს, ზემო რაზასა (ონის რაიონი) და ჩრდილოეთ ოსეთის. ამ უღელტეხილზე გადავიდა 1724 წელს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი რუსეთისაკენ მიმავალ ვახტანგ VI 1200-კაციან ამაღასთან ერთად. ეს დიდი ამაღა “ურიცხველნი სამღვდელონი და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი, მონანი და შიმუნვარნი დედაწულითურთ მათით” ცხინვალის გავლით რაზაში გადავიდნენ, აქედან კი - იმიერკავკასიაში.

გონა – ონის მუნიციპალიტეტი, ღების თემი. მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ჩვეშურის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირას. ზღვის დონიდან 1680 მეტრზე, ქალაქ ონიდან დაშორებულია 39 კილომეტრით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 2 კაცი. გონა ანუ გონი სულხან-საბას განმარტებული აქვს როგორც – „კერპი აღმართებული“ და ცნობილია, რომ ის იყო უმთავრესი კერპი წარმართულ საქართველოში.

დემერჩენცი - მდებარეობს ზღვის დონიდან 80 მეტრზე. 1992 წლიდან ატარებს სახელს ხიშხარიფში.

დომბაი-ულგენი - მწვერვალი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. თებერდის სათავეში, აფხაზეთისა (გულრიფშის რაიონი) და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარზე), ზ.დ. 4,046 მ სიმაღლეზე. არის აფხაზეთისა და დასავლეთ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი. შემოსილია მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

ერწოს უღელტეხილი - უღელტეხილი რაზის ქედზე, ჯავის რაიონში, ზ.დ. 1,790 მ სიმაღლეზე. აკავშირებს მდინარეების ფაწისა (დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადი) და ყვირილის ხეობებს, ზემო რაზასა (ონის რაიონი) და შიდა ქართლს (ჯავის რაიონი). მასზე გადის გორ-ონის საავტომობილო გზა. უღელტეხილის მიდამოები შემოსილია სუბალპური ტყეებით (წიფლის, არყის ხის), სუბალპური ბუჩქნარებითა (დეკა) და მდელოებით. უღელტეხილზე გადასვლა შესაძლებელია მთელი წლის მანძილზე, თუმცა უხვთოვლიან ზამთარში იგი მცირე ხნით იკეტება.

ელბრუსი - ყაბარდო ბალყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 25 კმ-ით, იალბუზის მისადგომებიდან კი 18 კმ-ით. სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს მისი მთავარი ღირშესანიშნაობა ადილ-სუს ხეობა, რომელიც ვიზიტორების დიდი რაოდენობით გამოირჩევა.

ერმოლოვკა - ადლერის რაიონი, ნიჟნეშილოვკის საკრებულო. სოფელი გაყოფილია ორად ფსოუს მარჯვენა შენაკადი ერმოლოვკით. სოფლის ჩრდილოეთი მონაკვეთი ხიდით უკავშირდება აფხაზურ სოფელ მიქელრიფშს. სასაზღვრო გამშვები პუნქტის არარსებობის გამო მოძრაობა შეწყვეტილია.

ვახუშტის მწვერვალი - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. ენგურის სათავეში, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 4,000 მ სიმაღლეზე. ფერდობების ქვედა ნაწილი შემოსილია ალპური მდელოებით, ხოლო თხემი - მარადი თოვლით.

ზემო აჟარა - გულრიფშის მუნიციპალიტეტი, აჟარის თემი, მდინარე კოდორის ხეობა, მდებარეობა ზღვის დონიდან 950 მ. 2002 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 322 ადამიანი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ზესხო (ყოფილი ზერია) — სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ცანის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ზესხოს (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ზღვის დონიდან 1800 მ, ლენტეხიდან 62 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 29 კაცი. 2012 წლისთვის ცხოვრობდა ერთი მუდმივი მოსახლე.

თბილისა - მყინვარი რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. რიონის სათავეებში, ონის რაიონში. მყინვარის სიგრძეა 3 კმ, ფართობი - 3.75 კმ². იგი ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოკვლეული მყინვარია, ვინაიდან აქ მრავალი წლის მანძილზე დაკვირვებებს ატარებდნენ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

თეთნულდი - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. ენგურის სათავეში, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბაღყარეთის რესპუბლიკის საზღვარზე, ზ.დ. 4,853 მ სიმაღლეზე. ფერდობები შემოსილია მყინვარებით.

კითლოდი, ყვითლოდი - ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (სამხრეთ ფერდობზე), მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. მყინვარის სიგრძეა 6.8 კმ, ფართობი - 11.5 კმ².

კულტუბანი - ყოფილი ზარია ვოსტოკა, სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაგრის მუნიციპალიტეტში ფსოუსა და ლაფსტას შორის. მდებარეობს ზღვის დონიდან 100 მეტრზე. გაგრიდან 22 კმ-ის, ხოლო ლესელიძის რკინიგზის სადგურიდან 5 კმ-ის დაშორებით. 2008 წლიდან ოკუპირებული რუსეთის ფედერაციის მიერ. მისი აფხაზური სახელწოდებაა ასაბულეი (*Асабулей*). XX საუკუნის დასაწყისში მას ეძახდნენ კულტურულ ნაკვეთებს (*Культурные Участки*) 1956 წელს მას დაარქვეს კულტუბანი, 1992 წლის 4 დეკემბრიდან კი ისევ ძველი სახელი დაუბრუნდა.

ლესელიძე - პირველი დასახლებული პუნქტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მოცემულ მონაკვეთზე არის დაბა ლესელიძე. დაბა ლესელიძე მდებარეობს გაგრიდან 14 კილომეტრში. მისი აფხაზური სახელწოდებაა გეჩრიფში. მეცხრამეტე საუკუნეში სოფელი პოპულარული გახდა თავისი სასიამვნო ჰავის წყალობით, ამ პერიოდში მას რუსებმა იერმოლოვკა დაარქვეს, იმდროინდელი მიწათმოწყობის მინისტრის ა.ს. ერომოლოვის პატივსაცემად რომელიც ამ ადგილებს სტუმრობდა 1894 წელს. ასევე გავრცელებულია მცდარი აზრი იმის შესახებ რომ დასახლება მოდის კავკასიის ფრონტის მთავარი მეთაურის, გენერალ ერომოლოვის სახელიდან გამომდინარე. 1944 წლის 1 ივნისის მითითებით დაბას გენერალ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის პატივსაცემად შეუცვალეს სახელი. მეორე მსოფლიო

ომის შემდგომ დასახლება ვითარდებოდა და თანდათან კურორტად ჩამოყალიბდა. გაიხსნა საბავშვო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სპორტული ბაზა-პანსიონატები, რომელიც წამყვანი სპორტსმენების საყვარელ ადგილად ითვლებოდა. აქ ატარებდა შეკრებებს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრები და სხვა წამყვანი გუნდები. ასევე წვრთნებს გადიოდნენ ხელბურთისა მსუბუქი ათლეტიკის ნაკრებები.

ლეხზირი - ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (სამხრეთ ფერდობზე), მდ. მესტიაზალის (ენგურის აუზი) სათავეში, მესტიის რაიონში. იგი უდიდესი მყინვარია ფართობისა (33.4 კმ²) და სიგრძის (11.5 კმ) მიხედვით საქართველოში და მცირედ ჩამორჩება კავკასიის უდიდეს მყინვარს - ბეზინგს (ფართობი - 36.2 კმ² და სიგრძე - 13.3 კმ). მყინვარი სამ ნაკადად ჩამოდის, რომლის ქვედა ნაწილები თითქმის მთლიანად გადაფარულია მორენული მასალით. აქ მდებარეობს 300 მ სიმაღლის ყინულჩანჩქერი.

მამისონის უღელტეხილი, ჭანჭახის უღელტეხილი - უღელტეხილი რაზა-ლეჩხუმის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ზ.დ. 2,819 მ სიმაღლეზე. აკავშირებს მდინარეების ჭანჭახისა (რიონის მარცხენა შენაკადი) და ურუხ-არდონის (თერგის მარცხენა შენაკადი) ხეობებს, ზემო რაჭასა (ონის რაიონი) და ჩრდილოეთ ოსეთს (საქართველოს ისტორიულ მხარეს - დვალეთს). მასზე გადის ოსეთის სამხედრო გზა. უღელტეხილის მიდამოები შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. მის მიდამოებში, ზ.დ. 2,854 მ სიმაღლეზე მდებარეობს მაღალმთის მეტეოროლოგიური სადგური (საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე). მამისონის უღელტეხილიდან სამხრეთ-დასავლეთით, 16 კმ მანძილზე, მდინარეების ბუზისა და ჭანჭახის (რიონის აუზი) ზედა წელში, ზ.დ. 1,600 მ სიმაღლეზე მდებარეობს კურორტი შოვი. მისი მიდამოები შემოსილია უმთავრესად წიწვიანი ტყეებით და მდიდარია მინერალური წყაროებით.

სახელწოდება “მამისონი” მომდინარეობს ოსური სიტყვისაგან: “მა” ქართულად ნიშნავს “არას”, ხოლო “მისინ” - “მოსაგონებელს”, ე.ი. “მამისონი” ნიშნავს მოსაგონებლად “არასასია-მოვნო”, “არასახსენებელ ადგილს”. ასეთი სახელი უღელტეხილს იმიტომ შეერქვა, რომ იგი ოდითგანვე რთული გადასასვლელი იყო, ამჟამად კი მასზე გამავალი გზა კეთილმოწყობილია. უღელტეხილის მეორე სახელწოდება “ჭანჭახი” ქართული სიტყვაა. ხევსურეთში ჭაობს ჭანჭახს უწოდებენ და როგორც ფიქრობენ,

მისი სახელი სწორედ აქედან მოდის (უღელტეხილის მიდამოებში მრავლადაა ზაობის პატარ-პატარა მასივები).

მარუხის უღელტეხილი - უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ზ.დ. 2,746 მ სიმაღლეზე. საცალფეხო გზით აკავშირებს მდინარეების ჩხალთისა (კოდორის მდგენელი) და მარუხის (ჩხალთის მარცხენა შენაკადი) ხეობებს, აფხაზეთსა (გულრიფშის რაიონი) და ყარაჩაი-ჩერქეზეთს. უღელტეხილის მიდამოები შემოსილია თოვლ-ყინულიანი საფარით.

მარცხენა გენწვიში - გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), მდინარე კოდორის მარცხენა მხარეს. ზღვის დონიდან 720 მ, გულრიფშიდან 86 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 116 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

მარჯვენა გენწვიში - სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), მდინარე კოდორის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 720 მ, გულრიფშიდან 84 კმ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 207 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

მიქელრიფში - მიქელრიფშის თემი, მდებარეობს ზღვის დონიდან 200 მ, გაგრიდან 30 კმ.

ნაკრა, დონღუზორუნი - უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ზ.დ. 3,203 მ სიმაღლეზე. საცალფეხო ბილიკით აკავშირებს მდინარეების ნაკრისა (ენგურის მარჯვენა შენაკადი) და ბაქსანის (თერგის აუზი, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე) ხეობებს, ზემო სვანეთსა (მესტიის რაიონი) და ყაბარდო-ბალყარეთს. ნაკრის უღელტეხილის მეორე სახელწოდების “დონღუზორუნის” წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, იგი თურქული სიტყვებისაგან (“დონღუზ” - ღორი და “ორუნ” - ადგილი, სამყოფელი) მომდინარეობს და ნიშნავს “ღორების სამყოფელს”. უღელტეხილს ეს სახელი ეწოდა მყინვარის ენის ძირას მდებარე ტბის გამო, რომლის წყალიც საკმაოდ მღვრიე მოყვითალო-მომწვანო ფერისაა და რაც ღორების საბანაო გუბეს მოგვაგონებს. სახელწოდება “დონღუზორუნი” თავდაპირველად დაერქვა ამ ტბას, შემდეგ ხეობას, მყინვარს, მთის მასივსა და უღელტეხილს. სხვა მოსაზრების მიხედვით, ჩრდილოეთი

კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა, რომელიც ღორის ხორცს არ ზამს, ქრისტიანებს უწმინდურებს უწოდებს. აქედან მომდინარეობს უღელტეხილის სახელწოდებაც.

ნიჟნიაია შილოვკა (Нижняя Шиловка) - ადღერის რაიონი, კრასნოდარის მხარე. არაოფიციალური სახელია გუმარია. იგი მდებარეობს მდინარე ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე ადღერის რკინიგზის სადგურიდან 16 კმ-ის დაშორებით.

ომარიშარა - გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), აფხაზეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე გვანდრის (კოდორის ერთ-ერთი სათავე) ხეობაში. ზღვის დონიდან 800 მ, გულრიფშიდან 90 კმ. 1989 წელს ცხოვრობდა 302 კაცი, უმრავლესობა სვანური მოსახლეობა, 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 229 ადამიანი. 108 საკუთრივ ომარიშარაში, ხოლო 121 ზემო ომარიშარაში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

პუშკინის პიკი - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბეზენგის კედელზე, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბაღყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 5,034 მ სიმაღლეზე.

საღმე - მდებარეობს ზღვის დონიდან 40 მეტრზე, გაგრიდან 25 კილომეტრზე. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 1884 წლისთვის აქ დასახლდა კუუსალუს პრიხოდის ესტონელები, ესტლანდიის გუბერნიის რეველსკის უეზდის აღმოსავლეთ ნაწილიდან. 1885 წელს მან მიიღო დასახელება საღმე. 1992 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით აფხაზეთმა მას ძველი სახელი ფსოუ-ახაბლა დაარქვეს.

საღხინო - მდებარეობს ზღვის დონიდან 150 მეტრზე, გაგრიდან 32 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. მისი აფხაზური სახელწოდებაა ლახირკა.

სულევო - მდებარეობს ზღვის დონიდან 220 მეტრზე. გაგრიდან 40 კმ-ში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 1884 წელს სოფელი პშოუხუა (Пшоухуа) გახდა სულევო, 1948 წელს - **ფსოუ-სპირი**, შემდეგ ისევ სულევო. 1992 წლიდან აფხაზები ძველი სახელიტ მოიხსენიებენ.

ტეგენეკლი - ყაზარდო ბაღყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 27 კმ-ით, ხოლო იალბუზის

მისადგომებიდან 17 კმ-ით. 14 წლის მარტამდე ამ ტერიტორიებზე მდებარეობდა რამოდენიმე აული. მომდევნო 13 წლის მანძილზე კი არავინ არ სახლობდა. მხოლოდ 1957 წლიდან, მას შემდეგ რაც ყაზარდოელები დაბრუნდნენ დეპორტაციიდან მათ დაარსეს ერთიანი სოფელი და უწოდეს ტეგენეკლი.

ტერსკოლი - ყაზარდო-ბაღყარეთი, იალბუზის რაიონი, მდინარე ბაქსანის ხეობა. რაიონულ ცენტრ ტირნიაიზიდან დაშორებულია 37 კმ-ით. იგი ითვლება რუსეთის ერთ-ერთ წამყვან სათხილამურო კურორტად და ძირითადად დასახლებულია იალბუზის რეკრეაციული რაიონის მომსახურე პერსონალით.

ტვიბერი - ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალ-გამყოფ ქედზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, მესტიის რაიონში. მყინვარის სიგრძეა - 9.5 კმ, ფართობი - 27 კმ². წარსულში იგი ყველაზე დიდი მყინვარი იყო კავკასიაში. მაგრამ განიცადა დანაწევრება რამდენიმე ტოტად. ამიტომ მისი ფართობი შემცირდა და საქართველოს მყინვარებს შორის მესამე ადგილზეა. ტვიბერის მყინვარის ფართობი 43.8 კმ²-დან 24.66 კმ²-მდე შემცირდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადი, რომელიც დამოუკიდებელ მყინვარად ჩამოყალიბდა, კითლოდია (ყვითლოდი). მყინვარის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია მორენული მასალით. მისი ფართობი დღესაც მცირდება, ამიტომ შესაძლებელია, რომ ის საერთოდ გაქრეს (როგორც მრავალი სხვა მყინვარი კავკასიონზე). სიტყვა “ტვიბე” სვანურია და ნიშნავს “წყალს”, “მდინარეს”, “ღელეს”.

ტიბტენგენი - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდინარეების ენგურისა და ჩეგემის (თერგის აუზი) სათავეებში, ზ.დ. 4,618 მ სიმაღლეზე. შემოსილია თოვლ-ყინულიანი საფარით.

უშბა - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ შტოქედზე, უშბის ქედზე, მესტიის რაიონში, ზ.დ. 4,700 მ სიმაღლეზე. იგი წარმოდგენილია ორი მწვერვალით: ჩრდილოეთისა და სამხრეთის. ჩრდილოეთის მწვერვალი (დიდი უშბა - სვანურად “ხოშა უშბა”) უფრო მაღალია, სამხრეთის მწვერვალი (პატარა უშბა - სვანურად “ხოხრა უშბა”) კი - მასზე 10 მ-ით დაბალია. ალპინისტური თვალსაზრისით, უშბა ერთ-ერთ რთულ მწვერვალად ითვლება. იგი შეტანილია მსოფლიოს 100 უძნელეს მწვერვალთა სიაში (კავკასიისა და ევროპის

ურთულესი მწვერვალი). უშბა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ყველაზე რთული დასაძლევია მწვერვალია.

ფასისმთა - მწვერვალი რაზა-ლექხუმის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში, ზემო რაზისა (ონის რაიონი) და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 3786 მ სიმაღლეზე. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები (ცირკები, კარები და სხვ.). შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით, თუმცა ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს მყინვარები.

ფსხუ (აფხ. Псху) — სოხუმის მუნიციპალიტეტი. მისი მოსახლეობა 2011 წლისთვის 189 ადამიანი იყო, 172 რუსი და 17 აფხაზი. სოფელი მდებარეობს ამავე სახელწოდების ხეობაში, მდინარე ბზიფის სიახლოვეს. სოფელი ერთ დროს აფხაზი ფსხუს ტომებით იყო დასახლებული, ერთ-ერთი ბოლო ხალხი, რომლებიც რუსებმა კავკასიაში დაიპყრეს. რუსების შემოსვლის შემდეგ 1864 წელს თითქმის ყველა მათგანი თურქეთში გადაიხვეწა. სოფელს ელექტროენერგიას ამავე მიდამოში ნაგები მცირე ჰიდროექლექტროსადგური აწვდის. აქვეა მცირე აერობილიკიც, რომელიც მცირე ზომის თვითმფრინავებს ემსახურება. სოფლის განაპირას მდგარი მთა ინალკუბა (ფსხუ-ნიხა, 1290 მ) აფხაზი ხალხის შვიდი სიწმინდიდან ერთ-ერთია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1942 წელს ის დაიკავა ფაშისტური გერმანიის სამხედრო შენაერთებმა. ის იყო ერთადერთი დასახლებული პუნქტი რომელის აღებაც გერმანელებმა მოახერხეს.

ქვემო აჟარა - გულრიფშის მუნიციპალიტეტი, აჟარის თემი, მდინარე კოდორის ხეობა. ზღვის დონიდან 595მ. დამორება გულრიფშიდან 79 კმ. 2002 წლის მონაცემებით ცხოვრობს 48 კაცი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ქლუხორის უღელტეხილი - უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ზ.დ. 2,816 მ სიმაღლეზე. აკავშირებს მდინარეების გვანდრისა (კოდორის მარჯვენა მდგენელი) და თებერდის (ყუბანის აუზი, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე) ხეობებს, აფხაზეთსა (გულრიფშის რაიონი) და ყარაჩაი-ჩერქეზეთს. აქ გადის სოხუმ-თებერდის დამაკავშირებელი გზა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1850-იან წლებამდე უღელტეხილის მიდამოები დაფარული იყო

მყინვარით (ე. წ. მცირე გამყინვარების). მაგრამ დათბობის გამო იგი მყინვარისაგან განთავისუფლდა და გამოჩნდა ის სამიმოსვლო-საუღელტეხილო გზა, რომელიც ოდესღაც აქ გადიოდა. სახელწოდება მომდინარეობს ძველი ქართველი ტომების “კოლხების” სახელიდან. მისი თავდაპირველი ფორმა იყო: “კოლხოორ”, “კულხოორ”, “კლუხოორ”.

ღვანდრა - გულრიფშის რაიონი, ზღვის დონიდან 800 მ. 1989 წელს მოსახლეობა შეადგენდა 105 ადამიანს, 2002 წელს 97-ს. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

შოთა რუსთაველის მწვერვალი (პიკი) - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბეზენგის კედელზე, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 4960 მ სიმაღლეზე. შემოსილია თოვლყინულიანი საფარით. ა.

შხარა - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბეზენგის კედელზე, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 5068 მ სიმაღლეზე. არის საქართველოსა და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უმაღლესი მწვერვალი. სვანეთის კავკასიონის უმაღლესი მონაკვეთია ბეზენგის კედელი (ხალდეს კედელი, ფიცრულა). მას გასული საუკუნის მკვლევარები “სვანეთის ალპებს” უწოდებდნენ. ფერდობების ქვედა ნაწილი შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით, ხოლო ზედა ნაწილი - თოვლყინულიანი საფარით. მისგან რამდენიმე ყინულოვანი ჩანჩქერი ეშვება.

წალკოტი - გაგრის რაიონი, ზღვის დონიდან 80 მეტრი. XIX საუკუნეში ლაპსტარხა გადაკეთდა როგორც ბარანოვო. 1948 წელს სოფელს დაერქვა წალკოტი. 1992 წლიდან ძველი სახელით მოიხსენიებენ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

წანერი - ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (სამხრეთ ფერდობზე), მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, მესტიის რაიონში. მყინვარის სიგრძეა 11.2 კმ და ფართობი - 28.8 კმ². ამ მაჩვენებლით იგი მეორე ადგილზეა საქართველოში. იყოფა ორ ნაკადად.


ჭალაათი - ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (სამხრეთ ფერდობზე), მდ. მესტიახალის (ენგურის აუზი) სათავეში, მესტიის

რაიონში. მყინვარის სიგრძეა .2 კმ, ფართობი - 12.15 კმ². ენის სიმაღლე ეშვება 1,850 მ სიმაღლეზე. იგი ერთადერთი მყინვარია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, რომელიც იზრება ტყის ზონაში. ასე დაბლა საქართველოში არცერთი მყინვარის ენა არ ჩამოდის.


ჭანჭახი, ჭანჭახისწყერი - მწვერვალი რაზა-ლექსუმის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ. ზანზახის (რიონის მარცხენა შენაკადი) სათავეში, ზემო რაზისა (ონის რაიონი) და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე, ზ.დ. 4462 მ სიმაღლეზე. არის რაზის უმაღლესი მწვერვალი. ფერდობები ციცაბო და კლდოვანია. შემოსილია თოვლ-ყინულიანი საფარით.

ჯანლა, ჯანლითაუ - მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბეზენგის კედელზე, მდ. ხალდეჭალის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, ზემო სვანეთისა (მესტიის რაიონი) და ყაზარდო-ბალყარეთის საზღვარზე, ზ.დ. 5059 მ სიმაღლეზე. ფერდობების ქვედა ნაწილი შემოსილია ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით, ზედა ნაწილი - სუბალპური და ალპური მდელოებით, ხოლო თხემი და თხემისპირა მიდამოები - თოვლ-ყინულოვანი საფარით.

დანართი 2 - რუკები



ნახ. 1. საქართველოს რუკა, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ




ნახ. 3. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში




ნახ. 4. კავკასია XIX საუკუნის დასაწყისში



ნახ. 5. საქართველოს სსრ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, 1952 (ფრაგმენტი)



ნახ. 6. სოფელ აიბგის მდებარეობა



ნახ. 7. სოფელ აიბგის მდებარეობა

(1970-80-იანი წლების ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით)



ნახ. 8. ფრანგულენოვანი რუკის ფრაგმენტი, 1823




ნახ. 9. ინგლისურენოვანი რუკის ფრაგმენტი, 1883



1801-1813_Карта_Кавказского_края









1886_Кутаисская губерния_Кондратенко





1928_Закавказье



1954 г.



1956 г.

